IDFI

ინფორმირებული და ძლიერი
საზოგადოება დემოკრატიული
მმართველობისთვის

წლიური ანგარიში

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

2022



თბილისი 2023

სარჩევი

შესავალი 3

კარგი მმართველობის მხარდაჭერა საქართველოში 5

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერა 16

ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა 24

მედია და გამოხატვის თავისუფლება 29

კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები 32

ადგილობრივი მმართველობის მხარდაჭერა 39

ინტერნეტი და ინოვაციები 45

მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევები 51

კონსულტაციები 62

IDFI-ის დონორი ორგანიზაციები 64

2022 წელს დაწყებული პროექტები 66

2022 წლის ფინანსური ანგარიში 70

შესავალი

ისევე როგორც წინა წლებში, 2022 წელსაც, საქართველოში კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური უთანასწორობის, პოლიტიკური არასტაბილურობის, მაღალი დონის კორუფციის, მედიის და გამოხატვის თავისუფლების და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები.

ამ გამოწვევების საპასუხოდ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) ახორციელებდა ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგს, აქვეყნებდა კვლევით ნაშრომებს და რეკომენდაციებს, ჩართული იყო კოალიციურ საქმიანობაში და ადვოკატირების გზით ეხმაურებოდა ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა პრობლემურ საკითხებს.

2022 წელს IDFI-იმ შეაფასა მედიის საჯარო ინფორმაციაზე წვდომის ხარისხი და ჟურნალისტებისთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, შექმნა მათთვის სამართლებრივი დახმარების პროგრამა.

ღია მონაცემების გამოყენების წასახალისებლად, IDFI აცხადებდა კონკურსებს, ამზადებდა ანალიზებს, რეკომენდაციებს და ცდილობდა ამ კუთხით სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიის ცნობიერების ამაღლებას.

2022 წელს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების ანალიზით IDFI-იმ მოიცვა ისეთი საკითხები, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, საბიუჯეტო ხარჯვის ოპტიმიზება, კერძო სექტორსა და ხელისუფლებას შორის დიალოგის ხარისხის შეფასება.

IDFI მთელი წლის მანძილზე ახორციელებდა საჯარო უწყებების ხარჯებისა და მათი საქმიანობის ცალკეული მიმართულების მონიტორინგს.

2022 წელს IDFI-მ გააგრძელა მუშაობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ციფრული უფლებები, კიბერ უსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტი, საჯარო სექტორში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება და ა.შ.

უკრაინაში განხორციელებული რუსეთის აგრესიული საომარი მოქმედებების ფონზე, საქართველოში მნიშვნელოვანი გამოწვევა იყოს დეზინფორმაციასთან ბრძოლა. 2022 წელს IDFI-მ გააგრძელა აქტიური მუშაობა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კვლევისა და ანალიზის მიმართულებით, რის ფარგლებშიც, გამოქვეყნდა არაერთი ანალიტიკური სტატია.

2022 წელს IDFI-მ მოამზადა და გამართა:

65 კვლევითი დოკუმენტი

22 ვიზუალიზაცია

2 საერთაშორისო კონფერენცია

22 ტრენინგი და ლექცია

29 დისკუსია

2022 წელს IDFI-მ დაიწყო 20 ახალი პროექტი

2022 წელს IDFI-ის თანამშრომელების რაოდენობა იყო 29

კარგი მმართველობის მხარდაჭერა საქართველოში

2022 წელს, IDFI აქტიურად განაგრძობდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგს, მართავდა ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებს, სამუშაო შეხვედრებს, შესაბამის დაწესებულებებსა და დაინტერესებულ მხარეებს აწვდიდა რეკომენდაციებს. ასევე, ღია მონაცემების გამოყენების წასახალისებლად, IDFI აცხადებდა კონკურსებს, ამზადებდა ანალიზებს, რეკომენდაციებს და ცდილობდა ამ კუთხით სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიის ცნობიერების ამაღლებას.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში

Sida-ს ფინანსური მხარდაჭერით, IDFI-მ განაგრძო **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყოველწლიური მონიტორინგი**, რომელსაც ორგანიზაცია 2010 წლიდან უწყვეტად ახორციელებს. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ 2021 წლის მონიტორინგის შედეგები IDFI-მ 2022 წლის 23 მაისს წარადგინა, რომელიც 285 საჯარო დაწესებულებაში გაგზავნილ 8,446 მოთხოვნის წერილს დაეყრდნო. 2020 წელთან შედარებით, საჯარო სექტორის გამჭვირვალობის ხარისხი 2%-ით (80%-დან 82%-მდე) გაიზარდა. 2021 წელს მცირედი გაუმჯობესების მიზეზად რამდენიმე გარემოება დასახელდა: ერთი მხრივ, პანდემიის შედეგად საჯარო დაწესებულებებში შექმნილი არაორდინალური სიტუაციის გავლენის შესუსტება, და მეორე მხრივ, ცალკეული უწყებების წლების განმავლობაში დამკვიდრებული დაბალი ანგარიშვალდებულების პრაქტიკის გაუმჯობესება. ეს ყველაფერი დადებითად აისახა საქართველოს საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებელზე.

- სრულყოფილი პასუხი – 60%
- უპასუხო - 24%
- არასრულყოფილი – 15%
- უარი - 1%
- 10 დღიანი ვადის დაცვა - 54%

IDFI-მ ჯამში 13 საჯარო დაწესებულება დააჯილდოვა, მათ შორის:

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური
- სახალხო დამცველის აპარატი
- ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი
- აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო

IDFI-ის მიერ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად **საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრ-დობის სამინისტრო** დასახელდა.

2022 წელს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა გამოაქვეყნა თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა "საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ამსახველი ანგარიშების წარდგენაზე საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობა", სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია IDFI-ის მიერ მათთვის გაგზავნილი კვლევის თითოეული მიგნების და რეკომენ-დაციის განხილვას. დასკვნაში აღნიშნულია, რომ **თემატური ჯგუფის მიერ დეტალურად შესწავლილ იქნა IDFI-ის კვლევაში მოყვანილი საკითხები, რომელთაგან დიდი ნაწილი დაემთხვა იმ ნაკლოვანებებს, რომელთა იდენტი-ფიცირება გახდა მიზეზიც და საფუძველიც საკუთრივ თემა-ტური მოკვლევის დაწყებისთვის**. თემატური მოკვლევის ფარგლებში წარმოდგენილია შემაჯამებელი რეკომენდაციები, რომელიც ითვალისწინებს როგორც შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე კონკრეტული საჯარო დაწესებულებების მიერ ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას. თემატური ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში სრულად არის გათვა-ლისწინებული IDFI-ის რეკომენდაციებიც.

გარდა ამისა, 2022 წელს, IDFI-მ საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგიც განახორციელა. **128 საჯარო დაწესებულების მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი 60%-ია, რაც 4%-ით აღემატება 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.**

ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის ადვოკატირება და მხარდაჭერა

IDFI - მონაცემების გლობალური ბარომეტრის (GDB) რეგიონული ჰაბი

2022 წელს IDFI-მ **მონაცემების გლობალური ბარომეტრის (GDB)** ფარგლებში, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ჰაბის როლში მნიშვნელოვანი რეგიონული და ადგილობრივი აქტივობები განახორციელა. ბარომეტრის შეფასების საფუძველზე ორგანიზაციამ გლობალური ანგარიშისთვის მოამზადა **რეგიონული შედეგების მიმოხილვა**, ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები. დამატებით მომზადდა საქართველოსა და რეგიონის ქვეყნების შედეგების **დეტალური მიმოხილვა, ვიზუალიზაცია და შედარება** ცალკეული თემატური მიმართულებების მიხედვით. კონკრეტული რეკომენდაციები შემუშავდა საქართველოსთვის.



2022 წლის პირველ ივლისს, გაიმართა GDB კვლევის **რეგიონული შედეგების** ონლაინ პრეზენტაცია, სადაც GDB-ის წარმომადგენლების, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მკვლევრების ჩართულობით გაიმართა დისკუსია რეგიონის შედეგების, მთავარი მიგნებების, გამოწვევებისა და რეკომენდაციების შესახებ.

საქართველოში ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების **ადვოკატირებისთვის** IDFI-მ ბარომეტრის შედეგები მრავალი მიმართულებით გამოიყენა. მომზადდა ყოვლისმომცველი ანალიზი GDB-სა და სხვა საერთაშორისო გამოკითხვის შედეგებში **საქართველოსთან მიმართებით გამოკვეთილი მთავარი საჭიროებების შესახებ**. ასევე, გაკეთდა ამავე კვლევებში გამოკვეთილი **კარგი პრაქტიკების მიმოხილვა**.

ეს დოკუმენტები წარედგინათ შესაბამის საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებს IDFI-ის მიერ ორგანიზებულ **სამუშაო შეხვედრების** დროს.

შემუშავებული რეკომენდაციები კი საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა განიხილეს ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული განხილვის ფარგლებში.

ასევე, ჩატარდა **პანელური დისკუსია** ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით ღია მონაცემების საერთაშორისო ტენდენციებზე და საქართველოს საჭიროებებზე.

სასამართლო სტატისტიკის მოდული

IDFI-მ, უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, განაახლა **მონაცემები სასამართლო სტატისტიკის მოდულში**. დაინტერესებულ პირებს მოცემული პროგრამის საშუალებით შეუძლიათ გაეცნონ სასამართლო პრაქტიკის ტენდენციებს 2010-2021 წლებში. მათ შორისაა: სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების სტატისტიკა, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, ადმინისტრაციული დავების შედეგები, ფარული მიყურადების შუამდგომლობები, ოჯახში ძალადობის შემთხვევები და ა.შ.



კონკურსი - მონაცემები ცვლილებებისთვის (#DATA4CHANGE)

ხელისუფლების საქმიანობაზე ზედამხედველობისა და საჯარო მონაცემების გამოყენების წახალისების მიზნით, IDFI-მ რიგით მეოთხე ანალიტიკური სტატიების ყოველწლიური კონკურსი - **„მონაცემები ცვლილებებისთვის“** - გამართა. ორგანიზაციამ 20-ზე მეტი საკონკურსო ნაშრომი მიიღო. სტატიები WWW.DATALAB.GE-ზე გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზების, ასევე კონკურსის მონაწილეების მიერ საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა. 2022 წლის ბოლოს IDFI-მ კონკურსის სამი გამარჯვებული დააჯილდოვა.

საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორია - DATALAB.GE

მონაცემების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, IDFI განაგრძობდა ღია მონაცემების საკითხებზე მუშაობას, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ღია ფორმატში შეგროვების, დამუშავებისა და გამოქვეყნების კუთხით. ინსტიტუტის მიერ შექმნილ **ღია მონაცემების პლატფორმაზე - DataLab.Ge** გამოქვეყნდა დამატებითი მონაცემთა ბაზები. 2022 წლის ბოლოს პორტალზე 1,450-მდე მონაცემთა ბაზა იყო ხელმისაწვდომი.



საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა

2022 წლის 10 იანვარს, IDFI-მ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან (საია) ერთად საჯარო სამსახურის რეფორმის მხარდაჭერასა და სამოქალაქო მონიტორინგთან დაკავშირებული პროექტის დასკვნითი ღონისძიება გამართა. შეხვედრაზე განხილულ იქნა ინიციატივის ფარგლებში ბოლო ორი წლის მანძილზე განხორციელებული ცნობიერების ამაღლების, მონიტორინგისა და ადვოკატირების აქტივობები და შედეგები. საერთაშორისო და ადგილობრივმა ექსპერტებმა, ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, გაცვალეს ინფორმაცია საჯარო მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის, არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების შესახებ. დისკუსიის მიზანს ასევე წარმოადგენდა დებატების ხელშეწყობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა შეიცვალოს საჯარო მმართველობის რეფორმის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

პროექტის შედეგად გამოვლენილი გამოწვევებისა და შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე, IDFI საჯარო ადმინისტრირების ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ადვოკატირებას უწევდა ცალკეული ამბიციური რეფორმების გათვალისწინებას კონკრეტული საჯარო დაწესებულებების მიერ.

რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებულ საკითხებზე მომზადებული ანალიტიკური ნაშრომები

2022 წლის 25 თებერვალს რუსეთის უკრაინაში შეჭრის და ფართომასშტაბიანი აგრესიის დაწყების შემდეგ, საქართველო სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა. ომის დაწყების შემდეგ, IDFI აქტიურად იკვლევდა ისეთ საკითხებს, რომლებიც ქვეყნისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდა და მათ შესახებ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა. მათ შორის, ისეთ თემებზე, როგორიცაა ომის დაწყების შემდეგ რუსეთის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლის და დარჩენის მაჩვენებლები, მათზე გაცემული ბინადრობის ნებართვები და მოქალაქეობის მინიჭება, საქართველოს ბანკებში რუსეთის მოქალაქეების ფინანსები, საქართველოში საერთაშორისო სანქციების რეჟიმის აღსრულება და სხვა.

IDFI-მ საჯარო დაწესებულებებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემდეგი ანალიტიკური ნაშრომები მოამზადა:

- რუსეთის მოქალაქეების ფინანსები საქართველოს ბანკებში
- რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული საერთაშორისო სანქციების რეჟიმის აღსრულება საქართველოში
- რუსეთის მოქალაქეებზე გაცემული ბინადრობის ნებართვები (მარტი-ივლისი)
- ტურიზმი თუ მიგრაცია? (რუსეთის მოქალაქეების საქართველოში დარჩენის მაჩვენებელი - 2022 მარტი-ივნისი)
- საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება - მონაცემების ანალიზი: 2018-2022
- უკრაინის, რუსეთის და ბელარუსის მოქალაქეების მიერ საქართველოს საზღვრის კვეთის სტატისტიკა - 2022 მარტი
- ოფიციალური კომუნიკაცია რძის პროდუქტების რუსეთში ექსპორტთან დაკავშირებით



ღია პარლამენტი

IDFI-ს ორგანიზებით გაიმართა საქართველოს პარლამენტის ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მდგრადი განვითარების მიზნებზე მომუშავე ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, რომლის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს პარლამენტის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგის შესახებ 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის განვითარება.

ღია მმართველობის საპარლამენტო საბჭოსა და პარლამენტის საპარლამენტო საბჭოების სამდივნოების წარმომადგენლებისათვის გაიმართა ტრენინგი ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე.

IDFI-სთან თანამშრომლობით პარლამენტისთვის შეიქმნა ელექტრონული დეშბორდის აპლიკაცია, მობილური აპლიკაციის ვიდეო, რომლებსაც მოქალაქეები გაეცნობიან პარლამენტის მოქალაქეთა მისაღებშიც, რომელიც 2022 წელს გაიხსნა საქართველოს პარლამენტში.

IDFI-მ მოამზადა ზოგადი სტატისტიკური მიმოხილვა საქართველოს მოქალაქეების მიერ საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის მექანიზმების გამოყენების და საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო და საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების შესახებ.

2022 წლის განმავლობაში IDFI აქტიურად იყო ჩართული პარლამენტის ღია მმართველობის საბჭოს, საკონსულტაციო ჯგუფისა და სხვა სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ორგანიზებაში. მათ შორისაა რამდენიმე საინფორმაციო შეხვედრა, რომლებიც დუშეთისა და მცხეთის რეგიონებში გაიმართა ადგილობრივ მოსახლეობასთან.

IDFI-მ კანადის პარლამენტის ყოფილი წევრისა და ექსპერტის სარმიტე ბულტეს ჩართულობითა და საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობით შეიმუშავა გზამკვლევი პარლამენტის წევრებისთვის საპარლამენტო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ღია უმაღლესი საბჭო

2022 წლის განმავლობაში IDFI აგრძელებდა აჭარის უმაღლესი საბჭოს მხარდაჭერას ღია მმართველობის პრინციპების გასაძლიერებლად და აქტიურად იყო ჩართული უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

IDFI ჩართული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს თანამშრომლებისა და „იდეა უმაღლესი საბჭოს ღიაობისთვის“

კონკურსით დაინტერესებული პირებისათვის გამართულ საინფორმაციო შეხვედრების გამართვაში, სადაც განიხილავდნენ ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის შექმნისა და ინიციატივების წარდგენის პროცესს.

IDFI-ს მხარდაჭერით მომზადდა უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 202-2021 წლების სამოქმედო გეგმის თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტის დიზაინი. ასევე, მომზადდა და დაიბეჭდა უმაღლესი საბჭოს შესახებ 5 სახეობის ბროშურა.

16 მაისს IDFI-ს ორგანიზებით გაიმართა ღია მმართველობის საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრა, სადაც განიხილეს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის პროექტი და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმაზე მუშაობის დაწყებისათვის საჭირო აქტივობები.

14-15 ივლისს, აჭარის უმაღლესმა საბჭომ IDFI-სა და საკონსულტაციო ჯგუფის წევრ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავა ღია მმართველობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია, რომელიც ჯერ ღია მმართველობის საბჭომ 30 ივლისის სხდომაზე, ხოლო მოგვიანებით უმაღლესი საბჭოს ბიურომ დაამტკიცა. აღნიშნული გეგმისთვის IDFI-ს მიერ წარდგენილი იყო 5 ინიციატივა, რომელთაგან 4 აისახა სამოქმედო გეგმის ვალდებულებებში.

2022 წლის განმავლობაში აჯარის უმაღლესი საბჭოს თანამშრომლებისათვის ჩაატარა ტრენინგები შემდეგ თემატიკაზე:

- უმაღლესი საბჭოს, დეპუტატების, უმაღლესი საბჭოს ორგანოების საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშების მომზადება
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაცია
- საჯარო მომსახურების გაწევის სტანდარტი
- თემატური მოკვლევა

6 აპრილს გაიმართა უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ვებპლატფორმა chaerte.sca.ge-ს პრეზენტაცია. ვებპლატფორმა შეიქმნა IDFI-ს აქტიური მონაწილეობით. პლატფორმა ციფრული სერვისებით წარმოადგენს ძალიან კარგ საშუალებას საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.



IDFI აქტიურად უწევდა კონსულტაციას აჯარის უმაღლეს საბჭოს თემატური მოკვლევის დოკუმენტების, საერთაშორისო კონფერენციის კონცეფციისა და საზედამხედველო მექანიზმებზე გზამკვლევის შემუშავების პროცესში.

IDFI-მ შეიმუშავა რეკომენდაციები აჯარის უმაღლესი საბჭოსთვის საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, რომელთა ნაწილიც უმაღლესმა საბჭომ გაითვალისწინა „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების განახლებისას.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერა

ანტიკორუფციულ საკითხებზე ინიცირებული კანონპროექტის ანალიზი

IDFI წარმოდგენილი იყო ევროკომისიის მიერ დადგენილი რეკომენდაციების შესრულების მიზნით შექმნილ ოთხ სამუშაო ჯგუფში. ორგანიზაცია ჩართული იყო ანტიკორუფციული ფუნქციების კონსოლიდაციის კონცეფციის/საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებისა და ანტიკორუფციული საქმიანობის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში. IDFI-მ შეისწავლა ევროკომისიის მე-4 რეკომენდაციის აღსრულების ფარგლებში ანტიკორუფციულ საკითხებზე ინიცირებული კანონპროექტი და წარმოადგინა შესაბამისი რეკომენდაციები. თავდაპირველად, IDFI-ს წინადადებები არ მიიღო პარლამენტმა მხედველობაში, თუმცა მოგვიანებით ორგანიზაციის 3 რეკომენდაცია აისახა კანონმდებლობაში ა) მამხილებელთა დაცვის გარანტიები გაიზარდა; ანტიკორუფციულ ბიუროს მიენიჭა ბ) ქონებრივი დეკლარაციებისა და გ) პოლიტიკური პარტიების ფინანსების მონიტორინგის უფლებამოსილება.

ყოველისმომცველი ანალიზი საქართველოს საჯარო სამსახურში კეთილსინდისიერების პრინციპების დანერგვის შესახებ

IDFI-მ, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის ხელშეწყობით, მოამზადა ყოვლისმომცველი ანალიზი საქართველოს საჯარო სექტორში (როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე) კეთილსინდისიერების პრინციპების დანერგვისა და პრაქტიკაში განხორციელების შესახებ. კერძოდ, შესწავლილ იქნა საჯარო სამსახურში არსებული კეთილსინდისიერების და მამხილებელთა დაცვის არსებული ტენდენციები და პრაქტიკა ისევე, როგორც კეთილსინდისიერებისა და ეთიკის საკითხთა შესახებ საჯარო მოსამსახურეთა ძირითადი დამოკიდებულებები და აღქმები. კვლევის მიზნებისთვის გაანალიზდა 219 საჯარო დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაცია, ასევე, საჯარო მოხელეების მიერ შევსებული 242 კითხვარი. კვლევის შემდეგად გამოვლინდა გამოწვევები, საჭიროებები და რეკომენდაციები შემდეგ საკითხებზე:

- სამართლებრივი ჩარჩო
- ეთიკისა და კეთილსინდისიერების განმსაზღვრელი დოკუმენტები
- აღსრულების და მხილების მექანიზმები
- საჯარო მოხელეების ინფორმირებულობა და დამოკიდებულება.

კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები წარედგინა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, საჯარო სამსახურის, ასევე, ყველა შესაბამისი სამონისტროსა და საჯარო დაწესებულების წარმომადგენლებს.

OECD-ს საქართველოს ანტიკორუფციული გარემოს შეფასების პილოტური ანგარიშის მიმოხილვა

2022 წელს, IDFI-მ მოამზადა OECD-ს პილოტური ანგარიშის ანალიზი, რომელიც საქართველოში ანტიკორუფციული მიმართულებით რეფორმების განხორციელების შეფასებას შეეხება. ანგარიშში გამოკვეთილია ხარვეზები ანტიკორუფციული პოლიტიკის წარმოების კუთხით. თითქმის ყველა სექტორული მიმართულება შესრულების დაბალი ხარისხით ხასიათდება. მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ აუცილებელია ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის რეფორმირება და არსებული გამოწვევების საპასუხოდ როგორც ადგილობრივი ორგანიზაციების, ისე კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო ინსტიტუტების რეკომენდაციების პირნათლად შესრულება.

სახელმწიფო უწყებების ხარჯებისა და საქმიანობის მონიტორინგი

2022 წლის მანძილზე IDFI აქტიურად ახორციელებდა საჯარო უწყებების ხარჯებისა და მათი საქმიანობის ცალკეული მიმართულების მონიტორინგს. ძირითადი აქცენტი გაკეთდა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორებიცაა სპორტული ფედერაციების ფინანსური გამჭვირვალობა და დანახარჯები, საჯარო სამსახურის ბიუროკრატიული ხარჯები და შრომის ანაზღაურება, მთავრობის სარეზერვო ფონდის ხარჯები, და ა.შ. მომზადებული ანალიზების შედეგებისა და რეკომენდაციების უკეთ გასაცნობად მომზადდა მოკლე მიმოხილვები, ვიზუალიზაციები ან/და ვიდეოები. ანგარიშები მოიცავდა:



- ფინანსური დარღვევები სპორტულ ფედერაციებში და მათზე რეაგირების გაუმჭვირვალე პროცესი: რაგბის კავშირის მაგალითი
- საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ხარჯვა 2021 წელს
- სამინისტროების 2021 წლის 9 თვის ბიუროკრატიული ხარჯების ანალიზი
- საჯარო სექტორში ხელფასების ზრდა და ბიუროკრატია
- საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის სტატისტიკა: 2017-2021 წლები
- 2021 წელს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა

საჯარო შესყიდვების შესახებ კანონპროექტის ანალიზი და შეფასება

IDFI-მ მოამზადა საჯარო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის შეფასება. 2022 წლის ივნისში პარლამენტში ინიცირებული კანონ-პროექტი კარდინალურად ცვლის სახელმწიფო შესყიდვების არსებულ სის-ტემას. ანალიზით გამოიკვეთა, რომ ცალკეული ცვლილებები გარდაქმნის და გააუმჯობესებს არსებულ სისტემას, ამასთან, უზრუნველყოფს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. პოზიტიურად შეფასდა ისეთი ცვლილებები, როგორიცაა ქვეკონტრაქტორების ცნების შემოტანა და დარეგულირება; დავების საბჭოს დამოუკიდებლობისთვის ახალი წესების დანერგვა და საბჭოსთვის აპარატის შექმნა და ფინანსური რესურსის მინიჭება; შესყიდვების კონტექსტში ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების დეტალურად და მკაფიოდ ჩამოთვლა. მიუხედავად ამისა, გამოიყო ისეთი საკითხები, რომლებიც გაუმჯობესებას ან შემდგომ დაკონკრეტებას საჭიროებს.

ტრენინგი ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმების შესახებ

IDFI-ის წარმომადგენლებმა რეგიონებში მოღვაწე ჟურნალისტებისთვის, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგნელებისთვის, სტუდენტებისა და აქტივისტებისთვის ჩაატარეს პრაქტიკული ტრენინგები ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმებისა და მეთოდების, მათ შორის, საჯარო მონაცემებთან მუშაობის შესახებ. ტრენინგის დროს IDFI-ის წარმომადგნელებმა მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- როგორ აღმოვაჩინოთ და გადავამოწმოთ საეჭვო გარემოებები სახელმწიფო შესყიდვებში;
- როგორ ვაკონტროლოთ სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი განკარგვა;
- როგორ მოვიპოვოთ საჯარო მონაცემები ხელისუფლების საქმიანობის შესახებ;
- როგორ გამოვითხოვოთ საჯარო ინფორმაცია;
- როგორ მოვიძიოთ ინფორმაცია კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საქმიანობა

2022 წელს IDFI-მ მნიშვნელოვნად გააფართოვა საქმიანობა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ანალიზები: IDFI-მ მოამზადა საქართველოს მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი. დოკუმენტი მიმოიხილავს ფულის გათეთრებასა და ბენეფიციარ საკუთრებასთან დაკავშირებით საქართველოში არსებულ პრობლემურ საკითხებს და ამ მიმართულებით მსოფლიოში დაგროვილ საუკეთესო პრაქტიკას.

IDFI-მ ასევე შეაფასა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები და გამოყო ის საკითხები, რომლებიც კვლავაც საჭიროებენ გაუმჯობესებას/საკანონმდებლო ცვლილებებს.

რეგიონული ღონისძიება: 2022 წლის 7-9 ივნისს, IDFI-ისთან თანამშრომლობით, ევროკავშირის გლობალურმა ინიციატივამ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის“ შესახებ (AML/CFT Global Facility) თბილისში რეგიონული ღონისძიება გამართა. ღონისძიების მთავარი საკითხი გახლდათ - უკრაინაში რუსეთის შეჭრის გავლენა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატივების ჭრილში. ღონისძიებაში, რომელიც ჰიბრიდულ ფორმატში გაიმართა, მონაწილეობა მიიღო 60 წარმომადგენელმა არასამთავრობო სექ-

ტორიდან აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის ქვეყნებიდან, ასევე, ევროკავშირის დელეგაციის, ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის (MONEYVAL) და ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF), ასევე, ევროპის საბანკო ასოციაციის, კერძო სექტორისა და შესაბამისი ინსტიტუტების წარმომადგენლებმა.

მომხსენებლებმა და მონაწილეებმა სამი დღის განმავლობაში განიხილეს რა გამოწვევები წარმოიშვა რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების წევრებისთვის რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, როგორ უნდა უპასუხონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა შექმნილ გამოწვევებს, როგორ უნდა განახორციელონ ჰუმანიტარული დახმარება და უზრუნველყონ გამჭვირვალობა. ღონისძიება მოიცავდა ჯგუფურ სამუშაოებს, სადაც მონაწილეებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოების, დონორი ორგანიზაციების, სახელმწიფო დაწესებულებების, ფინანსური ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ (ე.წ. თბილისის პრინციპები).

კოალიციური საქმიანობა: 2022 წლის ივნისში IDFI ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფთან (FATF) დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციების გლობალური კოალიციის წევრი გახდა. კოალიციის ძირითადი მიზანია ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ (CFT) არსებული პოლიტიკების არასასურველი შედეგების შემცირება სამოქალაქო საზოგადოებაში, რათა არ დაზიანდეს ლეგიტიმური საქველმოქმედო აქტივობები. კოალიცია IDFI-სთვის მნიშვნელოვანი პლატფორმაა საქართველოში ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირებისა და სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისათვის.

გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების რეიტინგი (TPPR)

2022 წელს IDFI-მ განაგრძო სახელმწიფო შესყიდვების პროფესიონალთა ქსელის გაფართოების მიმართულებით აქტიურად მუშაობა, რაც საშუალებას აძლევდა გამოცდილების გაზიარებით დახმარებოდა ცალკეულ ორგანიზაციებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების დარწმუნებაში, თუ რატომ არის აუცილებელი ცვლილებები, სხვა წევრი ქვეყნების მაგალითებისა და არსებული დადებითი ეფექტის საფუძველზე. ამ დროისთვის, გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების რეიტინგი (TPPR) თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან მსოფლიოს 43 ქვეყანაში.

TPPR-ს ახალი პარტნიორის სახით შეუერთდა ორგანიზაცია Al-Hayat Center- RASED, რომელიც იქნება შუა აღმოსავლეთისა და ჩრდიოლეთ აფრიკის რეგიონის კოორდინატორი. ორგანიზაცია ამ ეტაპზე არის იორდანიის სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შეფასების პროცესში, და მომავალში ის და მისი ადგილობრივი პარტნიორები შეაფასებენ რეგიონის სხვა ქვეყნებსაც IDFI-ს მხარდაჭერით.

TPPR

TRANSPARENT PUBLIC PROCUREMENT RATING

www.TPP-Rating.org

კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამა

2022 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განაგრძო კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამა.

კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამა გახდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური კურიკულუმის ნაწილი და კურსის წარმატებით დასრულების შედეგად, ილიას სახელწმიფო უნივერსიტეტში ჩარიცხული ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები სერტიფიკატებთან ერთად, ასევე იღებენ კრედიტებსაც. კერძოდ, საბაკალავრო საფეხურზე (პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით) შეთავაზებული სასწავლო კურსებია: კარგი მმართველობა და კორუფცია, და პოლიტიკა და კორუფ-ცია. სამაგისტრო საფეხურზე (საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით) დანერგილი კურსებია: ანტიკორუფციული პოლიტიკის მართვა საჯარო და კერძო დაწესებულებებში, და კორუფციასთან ბრძოლა - საერთაშორისო აქტორები, ანტიკორუფციული პლატფორმები.

2022 წლის 22 ივნისს IDFI-მ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა დააჯილდოვა კორუფციასთან მებრძოლთა სასერტიფიკატო პროგრამის კურსდამთავრებულები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა - ნინო დობორჯგინიძემ და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) აღმასრულებელმა დირექტორმა - გიორგი კლდიაშვილმა.

2022 წლის აგვისტოში IDFI-მ ჩაატარა კონკურსი სასერტიფიკატო პროგრამის მონაწილეთა ახალი კანდიდატების მეოთხე ნაკადის შესარჩევად. დაახლოებით 400-მდე შემოტანილი განაცხადიდან, საკონკურსო კომისიამ საბაკალავრო საფეხურისთვის შეარჩია 23 მონაწილე საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, ხოლო სამაგისტრო საფეხურისთვის 26 მონაწილე საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორიდან.

2022 წლის 22 ნოემბერს IDFI-ის პროგრამების დირექტორმა - ლევან ავალიშვილმა, კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამის ფარგლებში ბაკალავრიატის ჯგუფისთვის ჩაატარა ლექცია ინფორმაციის თავისუფლებაზე.

2022 წლის 12 დეკემბერს ანტიკორუფციული კვირეულის ფარგლებში IDFI-მ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამის მაგისტრატურის ჯგუფის მონაწილეებისთვის ღია ლექცია გამართა. კურსის ფარგლებში მოწვეულმა ლექტორმა - თინა ხიდაშელმა ინტერაქციულ რეჟიმში ისაუბრა საერთაშორისოდ დამკვიდრებულ ანტიკორუფციულ კომისიებზე, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით კორუფციასთან ბრძოლის პროცესში.

IDFI-მ შექმნა ანტიკორუფციული ჰაბის ვებგვერდი anticorruptionhub.net. ვებგვერდი არის ელექტრონული პლატფორმა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ მოქალაქეებს გაერთიანდნენ კორუფციასთან ბრძოლაში, გაუზიარონ ერთმანეთს საინტერესო ინფორმაცია, და ერთობლივად დაგეგმონ აქტივობები. ამავდროულად, ვებგვერდის მეშვეობით, მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ ონლაინ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელიც შეთავაზებულია ჰაბის მიერ და თუ ისინი წარმატებით ჩააბარებენ ტესტირებას ონლაინ სასწავლო კურსისთვის მიიღებენ კურსის გავლის დამადასტურებელ ელექტრონულ სერტიფიკატს. ანტიკორუფციული ჰაბის ვებგვერდი შეიქმნა შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით.



2019-2021 წლებში პროგრამას ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა ღია საზოგადოების ფონდი პროექტის „მდგრადი ადამიანური რესურსების განვითარება კორუფციასთან საბრძოლველად“ ფარგლებში. ხოლო 2022 წელს პროგრამა ფინანსურად მხარდაჭერილია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (სიდას) მიერ.

ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა

2019 წლიდან მოყოლებული ეკონომიკური და სოციალური მიმართულებით მნიშვნელოვანი გაფართოებით IDFI-იმ თავი დაიმკვიდრა როგორც სანდო ანალიზის და შეფასებების მიმწოდებელმა კვლევითმა ორგანიზაციამ. 2022 წელს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების ანალიზით მოვიცავით განათლება, ჯანდაცვა, საბიუჯეტო ხარჯვის ოპტიმიზება, კერძო სექტორსა და მთავრობას შორის დიალოგის მასშტაბი და ხარისხის ზრდა.

ამ პერიოდში, ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის გუნდმა:

- გაწია იმ ცვლილებების/რეკომენდაციების ადვოკატირება, რაც ეკონომიკური პოლიტიკის სიღრმისეულ ანალიზს ეფუძნებოდა;
- გამოიკვლია საშუალო სკოლის მოსწავლეების, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობა განათლების სექტორის ორ სხვადასხვა კვლევაში.

2022 წელს გაუმჯობესდა ადგილობრივ დონეზე საჯარო-კერძო დიალოგი ეკონომიკური რეგულაციების შემუშავების პროცესში. მიმდინარე ეკონომიკური გამოწვევების შესახებ საზოგადოების ცნობიერების გასაზრდელად გამოქვეყნდა ექვსი ანგარიში და გავრცელდა ათობით რეკომენდაცია დაინტერესებული მხარეებისთვის.

IDFI-ის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გუნდის ეკონომიკური პოლიტიკის კვლევები და ადვოკატირება წლის მანძილზე მედიის აქტიური ყურადღების ცენტრში იყო. 2022 წელს კვლევების და ადვოკატირების ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება იყო:

1. საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხელშეწყობა საქართველოში მონიტორინგისა და ცნობიერების ამაღლების გზით

IDFI-მ განაგრძო საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის (PPD) ხარისხის შეფასება ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში, მონაწილეობით საწყისებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების ხელშესაწყობად.

2022 წლის აპრილში, IDFI-მ გამოაქვეყნა 2021 წელს შერჩეული 18 ნორმატიული აქტის, მათ შორის სამიზნე მუნიციპალიტეტების აქტების, შეფასების ანგარიში. დაინტერესებული მხარეებისთვის შეფასების შედეგების და მიგნებების წარდგენის მიზნით, 25 მაისს, ჩატარდა ანგარიშის პრეზენტაცია. დიალოგის მნიშვნელობის და შეფასების შედეგების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადდა და გამოქვეყნდა საინფორმაციო ბანერები და ვიდეო, რომლებიც გავრცელდა ვებ გვერდისა და სოციალური მედიის საშუალებით.

2022 წლის მეორე ნახევარში, შესაფასებლად შეირჩა 20 ნორმატიული აქტი - 8 კანონპროექტი, 8 კანონქვემდებარე აქტი და 4 მუნიციპალური დადგენილება. 2022 წლის ბოლომდე IDFI-ს გუნდმა, შეფასების მიზნით, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ჩაატარა 100-ზე მეტი ინტერვიუ. შეფასების შედეგები 2023 წელს გამოქვეყნდება.

2022 წლის განმავლობაში IDFI-მ ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები 6 სამიზნე მუნიციპალიტეტის (ბათუმი, ზუგდიდი, ოზურგეთი, გორი, რუსთავი, ქუთაისი) საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანი იყო ადგილობრივ დონეზე დიალოგისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების გამოვლენა, დიალოგის ადვოკატირება და სამომავლო თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

2. განათლების სექტორის მიმოხილვა, ეთნიკური უმცირესობების და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების გამოწვევების იდენტიფიცირება



პროექტის მიზანი, რომელიც IDFI-იმ 2021 წელს დაიწყო, საზოგადოების დაუცველი ჯგუფებისა და ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების ადვოკატირება იყო. კვლევა კონცენტრირებულია ეთნიკური უმცირესობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების გამოწვევებზე.

განათლების სექტორში გამოწვევების იდენტიფიცირების და საჯარო მომსახურების ხარისხისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით, კვლევის ჯგუფმა დაამუშავა საჯარო ინფორმაცია. გარდა ამისა, კვლევითმა ჯგუფმა ჩაატარა მასწავლებლებისა და მშობლების ფოკუს ჯგუფები როგორც არაქართულენოვანი სკოლების, ისე ქართულენოვანი სკოლების წარმომადგენლებთან, რის მიხედვითაც გაანალიზდა პოსტპანდემიურ პერიოდში სამიზნე ჯგუფების არსებული გამოწვევები. ასევე, პროექტის გუნდმა გამართა საინფორმაციო შეხვედრა იმერეთის რეგიონის 6 მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მასწავლებლებთან და მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენლებთან.

მკვლევრებმა შეგროვებული მონაცემები გამოიყენეს სექტორის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზისთვის და შეიმუშავეს შესაბამისი რეკომენდაციები. კვლევის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინა ფართო საზოგადოებას, 10 ოქტომბერს. კვლევითი ნაშრომი საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით გამოქვეყნდა სოციალურ ქსელში და ორგანიზაციის ვებგვერდზე.

3. 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი: პასუხი ქვეყნის გამოწვევებზე

კვლევის მიზანი ქვეყნისა და მსოფლიოში მიმდინარე გამოწვევების შესაბამისად 2023 წლის ბიუჯეტის პირველი წარდგენის ანალიზი იყო. მკვლევართა ჯგუფმა გაანალიზა თუ რამდენად პასუხობს აღნიშნული პროექტი 2023 წელს მოსალოდნელ გამოწვევებს, რამდენად ხდება ისეთი პროდუქტიული დარგების საბიუჯეტო დაფინანსება, როგორიცაა ინფრასტრუქტურა და განათლება. ასევე, ანალიზი მოიცავდა დაგეგმილ ცვლილებებს მთავრობის ადმინისტრაციული ზომისა და სოციალური ხარჯების, სახელმწიფო საწარმოების, ეკონომიკური ზრდასა და შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტის კუთხით.

ანალიზის შედეგად გამოკვეთილი გამოწვევების შესაბამისად მომზადდა რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინა დაინტერესებულ მხარეებსა და ფართო საზოგადოებას და გაშუქდა მედიასაშუალებების მიერ.

4. ღია საზოგადოების ფონდის (OSF) ორგანიზაციული მხარდაჭერა

ხალხზე ორიენტირებული ეკონომიკის (People-Centered Economies), საჯარო მომსახურებების გაუმჯობესების, რეგიონული გამოწვევების იდენტიფიცირების და რეგიონული გადაწყვეტების შესამუშავებლად 2022 წელს IDFI-ის მიერ შეიქმნა ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რეგიონული ქსელი საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის, ყაზახეთის მონაწილეობით. ქსელს მოგვიანებით ყირგიზეთი და სომხეთიც დაემატება. რეგიონული ქსელის დღის წესრიგის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანი იყო წევრი ქვეყნების წარმომადგენლების დასწრება საჯარო სერვისების გაუმჯობესების საერთაშორისო კონფერენციაზე სანტიაგოში (29 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე). ქსელის წევრი ქვეყნები 2023 წლის მანძილზე რეგიონული გამოწვევების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და მთავრობებისა თუ სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე იმუშავებენ.

კვლევითი ანგარიშები

2022 წელს IDFI-მ გამოაქვეყნა 5 კვლევითი ანგარიში:

- განათლების სექტორის მიმოხილვა, ეთნიკური უმცირესობების და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების გამოწვევების იდენტიფიცირება
- 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი: პასუხი ქვეყნის გამოწვევებზე
- ეკონომიკური ზრდის მიმოხილვა - შეფასდა ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები რეგიონის და მეზობელ ქვეყნებთან შედარებით.
- საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები რუსეთზე დაწესებული საერთაშორისო სანქციების ფონზე - შეფასდა საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულება უკრაინისა და რუსეთის ეკონომიკების მიმართ. კვლევა ასახავს: ვაჭრობის, ფულადი გზავნილების, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ენერგეტიკული ბაზრის არსებულ მდგომარეობას და მოსალოდნელ დინამიკას.
- ჯანდაცვის სექტორის მიმოხილვა - შეფასდა სექტორში არსებული გამოწვევები, სექტორის ძირითადი მაჩვენებლები, საცალო ფარმაცევტული სექტორის, საავადმყოფოების და კლინიკების ფინანსური მაჩვენებლები, სახელმწიფო ხარჯები ჯანდაცვის სერვისებზე.

კვლევების ფარგლებში მომზადდა რეკომენდაციები და მოხდა მათი საჯაროდ განხილვა. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები გამოქვეყნდა და გავრცელდა საზოგადოებაში.

ამავე პერიოდში, IDFI-ის გუნდმა დაიწყო საპენსიო რეფორმის ანალიზი. ასევე, IDFI-მ დაიწყო გენდერული უთანასწორობის საკითხების ანალიზი და გეგმავს, რომ 2023 წელს შეიმუშაოს ბიუჯეტის გენდერული ინდექსი.

მედია და გამოხატვის თავისუფლება

2022 წელს მედიის თავისუფლების თვალსაზრისით ისევ რთული მდგომარეობა გამოიკვეთა: მედიის პოლარიზაციის მაღალი ხარისხი, ჟურნალისტების მიმართ სიტყვიერი თუ ფიზიკური აგრესიის შემთხვევები, მათდამი დისკრიმინაციული მიდგომა, ადმინისტრაციულ ორგანოებში ჟურნალისტების საქმიანობის ხელშეშლა, და სხვა.

2022 წელს, IDFI-ს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა მედიის მიერ საჯარო ინფორმაციაზე წვდომის ხარისხის შეფასება და სრულყოფილი სამართლებრივი დახმარების გაწევის გზით ჟურნალისტებისთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება იყო.

ინდივიდუალური აქტივობების პარალელურად, IDFI აქტიურად იყო ჩართული კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ საქმიანობაში და პროაქტიულად ეხმიანებოდა მედიის წარმომადგენლების წინაშე არსებულ გამოწვევებს. ელექტრონულ რესურსებზე გავრცელდა არაერთი ერთობლივი განცხადება.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკის ხელშეწყობა

2022 წლის იანვრიდან IDFI-მ აქტიურად დაიწყო „ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ დაფინანსებული პროექტით „მედიის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება“ გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება. სრული დატვირთვით ამოქმედდა სამართლებრივი დახმარების პროგრამა მედიის წარმომადგენლებისთვის, რომელიც მოიცავდა ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სამართლებრივ კონსულტაციას, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადების მომზადებას, საჩივრების მომზადებას, ადმინისტრაციული სარჩელის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების მომზადებას, ასევე, სამართლებრივ წარმომადგენლობას.

შედეგად, მომზადდა დაახლოებით 255 სამართლებრივი დოკუმენტი. მათგან, 172 განცხადება, 37 ადმინისტრაციული საჩივარი, 18 ადმინისტრაციული სარჩელი. ამასთანავე, პროექტის ფარგლებში გაიცა დაახლოებით 45 ზეპირი სამართლებრივი კონსულტაცია, რომლებიც შეეხებოდა მიღებული საჯარო ინფორმაციის ინტერპრეტაციას ან/და ჟურნალისტისთვის საჯარო ინფორმაციის განცხადებების ფორმულირებაში დახმარებას. სამართლებრივი დახმარებით 40-ზე მეტმა ჟურნალისტმა/მედიის წარმომადგენელმა ისარგებლა.

პროექტის ფარგლებში დაიწერა და გამოქვეყნდა კომპლექსური ანგარიში, რომელიც გაწეული სამართლებრივი დახმარების რაოდენობრივი და თვისობრივი სტატისტიკური მონაცემების გარდა შეიცავს საჯარო ინფორმაციაზე ჟურნალისტების წვდომის შემაფერხებელ პრაქტიკულ და ნორმატიულ პრობლემებს, ასევე, მიმოიხილავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაცვის მექანიზმების ეფექტურობას.

სამართლებრივი მხარდაჭერა ჟურნალისტებს და მედია ორგანიზაციებს

2022 წლის ოქტომბერში, პროექტის დასრულების შემდეგ, IDFI-მ გააგრძელა საერთო სასამართლოში სამართალწარმოება იმ საქმეებზე, რომელიც პროექტის გარგლებში დაიწყო. პროექტის ამოწურვის მიუხედავად, IDFI აგრძელებს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჟურნალისტთა სამართლებრივ დახმარებას.

2022 წლის განმავლობაში, მედიის სამართლებრივი დახმარების ფარგლებში, IDFI-მ დაიწყო 198 სამართალწარმოება, მოამზადა 59 ადმინისტრაციული საჩივარი და 24 ადმინისტრაციული სარჩელი. დაახლოებით 60% შემთხვევაში ჟურნალისტებმა შეძლეს მათთვის საინტერესო საჯარო ინფორმაციის მიღება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა შერჩევის პროცესში მონაწილეობა

2022 წელს, IDFI ინტენსიურად აკვირდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის საქმიანობას. IDFI-ს კანონის უზენაესობისა და მედიის მიმართულების ხელმძღვანელი საკონკურსო კომისიის წევრი გახლდათ, რამაც კომისიის საქმიანობის სიღრმისეულად შეფასების შესაძლებლობა შექმნა. პროცესის მიმდინარეობისას გამოიკვეთა რამდენიმე სიტემური ხარვეზი, რომელთა გადაწვეტა აუცილებელია მომავალში გამოცხადებული კონკურსების ჯეროვნად ჩასატარებლად და კანდიდატთა სამართლიანი და თანასწორი შეფასებების უზრუნველსაყოფად.

კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები

2022 წლის განმავლობაში, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე IDFI-ს გუნდი ინტენსიურად მუშაობდა. მომზადდა და გამოქვეყნდა არაერთი კვლევა, ანგარიში, სტატია, ანალიზი, ასევე, ჩატარდა ფართომასშტაბიანი ზამთრის სკოლა, სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები და გაიმართა პანელური დისკუსიები.

წინა წლების მსგავსად, 2022-შიც IDFI ჩართული იყო „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ კოალიციის საქმიანობაში და როგორც ინდივიდუალურად ისე, სამოქალაქო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ეხმიანებოდა ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის მიმართულებით წამოჭრილ აქტუალურ საკითხებს.

2022 წელს IDFI-ს მთავარი პრიორიტეტი იყო ევროკომისიის მიერ დადგენილი 12 პრიორიტეტული ამოცანის შესრულების ხელშეწყობა. ამ მიზნით IDFI მონიტორინგს უწევდა საკანონდებლო ორგანოში ინიცირებულ ცვლილებებს და ჩართული იყო რეკომენდაციების შესრულების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში.

ორგანიზაციის ძალისხმევა მიმართულია ქვეყანაში კანონის უზენაესობის უზრუნველყოფისა და ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესებისკენ, ისევე, როგორც ქვეყნაში დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობისკენ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კრებული

2022 წლის იანვარში გამოქვეყნებული კრებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებულ 10 მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას აერთიანებს. კრებულის მიზანია მკითხველს გააცნოს პრეცედენტული სამართალი, არსებული რეალობისა და გამოწვევების შესაბამისად განვითარებული ახალი მიდგომები.

ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემების დამუშავება - ევროპული სტანდარტები

2022 წლის თებერვალში IDFI-მ გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც განიხილავს ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემების ცნებას და გამოყენების არეალს, მათ დამუშავებასთან დაკავშირებულ საფრთხეებსა და რისკებს, აანალიზებს ამგვარი მონაცემების დამუშავების პრინციპებსა და საფუძვლებს. კვლევაში ასევე განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებები, რაც ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემების დამუშავებას უკავშირდება.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მხარდაჭერა საქართველოში

2022 წლის 24 თებერვალს, IDFI-მ და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მხარდაჭერა საქართველოში“ დახურვის ღონისძიება გამართა. ღონისძიებაზე შეჯამდა პროექტის აქტივობები და მიღწევები, ასევე, შედგა პროექტის ფარგლებში მომზადებული პუბლიკაციების პრეზენტაცია.

პროექტი 2020 წლის დეკემბრიდან ხორციელდებოდა და მის ფარგლებში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაუმჯობესების მიზნით, არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა:

- ჩატარდა საზაფხულო სკოლა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე;

- გამოცხადდა ესეების კონკურსი სტუდენტებისთვის და გამოქვეყნდა ესეების კრებული;

- ჩატარდა ტრენინგები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებისთვის;

- გამოქვეყნდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული, ასევე კვლევა ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემების დამუშავების ევროპული სტანდარტების შესახებ;



- ექსპერტის ჩართულობით მომზადდა თემატური სახელმძღვანელოები ცალკეულ სექტორებში მონაცემთა დამუშავების საკითხებზე.

IDFI-მ წარმატებით დაასრულა დავა საქართველოს უზენაეს სასამართლოში

2022 წელს IDFI-მ სტრატეგიული სამართალწარმოების კიდევ ერთი საქმე დაასრულა წარმატებით. დავის ფარგლებში „საქართველოს ეროვნულ არქივს“ დაევალა იმ საჯარო ინფორმაციის გაცემა, რომელსაც ორგანიზაცია 2018 წლის 29 ივნისიდან ითხოვდა.

საქმის მასალების შესწავლისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ საჩივარი დაუშვებლად ცნო. პალატამ მიუთითა, რომ ის იზიარებს მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს, ასევე, მიიჩნია, რომ საქმეზე მიღებულია არსებითად სწორი გადაწყვეტილება.

ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების პროცესის ხელშეწყობა

ევროკომისიის მიერ 12 პრიორიტეტის განსაზღვრის მომენტიდან IDFI აქტიურად მუშაობს დასახელებული ამოცანების შესრულების ხელშეწყობისთვის. ორგანიზაცია წარმოდგენილი იყო ევროკომისიის მიერ დადგენილი რეკომენდაციების შესრულების მიზნით საქართველოს პარლამენტში შექმნილ ოთხ სამუშაო ჯგუფში. პრიორიტეტების შესრულებასთან დაკავშირებით IDFI-ს მიერ წარდგენილი რეკომენდაციები და წინადადებები არ შემოიფარგლება მხოლოდ 4 სამუშაო ჯგუფის თემტური საკითხებით - ორგანიზაცია აქტიურად უწევს ადვოკატირებას ყველა საჭირო ცვლილებას, რომელიც ევროკომისიის 2022 წლის 17 ივნისის მოსაზრების მიხედვით გადამწყვეტია ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებისათვის.

კერძოდ, გამოქვეყნდა IDFI-ს წინადადებები ევროკავშირის პრიორიტეტების შესრულებასთან დაკავშირებით, ასევე, მომზადდა ანტიკორუფციულ საკითხებზე IV პრიორიტეტის შესრულების მიზნით ინიცირებული კანონპროექტის ანალიზი. IDFI მონიტორინგს უწევდა სახალხო დამცველის კანდიდატების პროფესიული შეფასებისა და შერჩევის პროცესს, რომლის ფარგლებშიც გამოქვეყნდა ორი პუბლიკაცია: სახალხო დამცველის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის შედეგებისა და კანდიდატთა რეალური რეიტინგის შესახებ; სახალხო დამცველის შერჩევის პროცესის შუალედურ მიმოხილვაზე.

ორგანიზაცია უწყვეტ რეჟიმში ადევნებს თვალყურს რეკომენდაციების შესრულების მიზნით საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარე მოვლენებს და როგორც ინდივიდუალურად, ისე სამოქალაქო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ეხმიანება ყველა მნიშვნელოვან საკითხს.

დისკრიმინაციული მოპყრობა თელარა გელანტიას მიმართ

IDFI სამართლებრივ მხარდაჭერას უწევდა BMG-ს მთავარ რედაქტორ თელარა გელანტიას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული ფაქტის დადგენის საქმეზე.

მთავრობის განკარგულებებზე წვდომის შეზღუდვასთან დაკავშირებით, 2022 წლის 9 სექტემბერს, BMG-ს ეთერში გავიდა თელარა გელანტიას მიერ მომზადებული სიუჟეტი, რომელიც, მათ შორის, მიმოიხილავდა IDFI-ს სასამართლო დავას მთავრობის ადმინისტრაციის წინააღმდეგ. სწორედ ამ სიუჟეტს უკავშირებს ჟურნალისტი 2022 წლის სექტემბერში მთავრობის სხდომაზე მის სამჯერ არ დაშვებას.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მხრიდან ჟურნალისტის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული ფაქტის დადგენის მიზნით თელარა გელანტიამ, IDFI-ს დახმარებით, მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს, რომელმაც უთანასწორო მოპყრობის ფაქტის შესახებ მითითება გააკეთა, თუმცა რადგან, საქმის განხილვის მიმდინარეობისას, საქართველოს მთავრობამ დისკრიმინაციული მოპყრობა ნებაყოფლობით აღმოფხვრა, საქმის განხილვა დაასრულა.

2022 წელს გამოქვეყნებული ანალიტიკური დოკუმენტები

2022 წლის განმავლობაში IDFI-ს გუნდმა ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე იმუშავა და მოამზადა არაერთი ანალიტიკური დოკუმენტი (ანგარიში, კვლევა, სტატია, ანალიზი, მიმოხილვა) შემდეგ მნიშვნელოვან თემებზე:

- ექსპრეზიდენტის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ;
- ნიკა გვარამიას შეწყალების კონსტიტუციური წინაპირობის თაობაზე;

- კანონის უზენაესობის 2022 წლის ინდექსზე;
- ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე ევროკომისიის ანგარიშის შესახებ;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე;
- პრესის თავისუფლების გლობალურ ინდექსზე;
- ფარული მიყურადებისა და ელექტრონული კომუნიკაციების მონაცემთა შენახვის ECHR-ის მიერ დადგენილ სტანდარტზე;
- ინტერნეტის თავისუფლებისა და ციფრული უფლებების შესახებ.

დაბლოკილი ვებგვერდები საქართველოში: სამართლებრივი და პრაქტიკული ანალიზი

2022 წლის ნოემბერში IDFI-მ ვრცელი კვლევა, მოამზადა საქართველოში დაბლოკილი ვებგვერდების შესახებ, რომელიც მიმოიხილავს საქართველოში ინტერნეტ გვერდების დაბლოკვის სამართლებრივ მოდელს, მის მარეგულირებელ ნორმატიულ საფუძვლებსა და პრაქტიკაში აღსრულების თავისებურებებს. კვლევა ასახავს 2017 წლიდან 2022 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით პერიოდს. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ინტერნეტ გვერდების დაბლოკვის ნორმატიული მოწესრიგება არაერთ ხარვეზს შეიცავს, რომელსაც, თავის მხრივ, ადამიანის ძირითადი უფლებების, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ ბოროტად გამოყენების მნიშვნელოვანი პოტენ-ციალი გააჩნია.



ზამთრის სკოლა

2022 წლის 10-15 დეკემბრის პერიოდში, შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით, IDFI-მ უკვე მეორედ გამართა ზამთრის სკოლა **„კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები“.**

ზამთრის სკოლას ორსაფეხურიანი კონკურსის საფუძველზე შერჩეული 25 მონაწილე ჰყავდა - იურიდიული ფაკულ-ტეტის სტუდენტებსა და დამწყებ პრაქტიკოსებს, მათ შორის, მე-3 და მე-4 რანგის საჯარო მოხელეებს, მიეცათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ დარგის სპეციალისტების მიერ აქტუალურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით დაგეგმილ ტრენინგებში.

ზამთრის სკოლის პროგრამა შემუშავდა და შესაბამისი საკითხები შეირჩა საქართველოს, როგორც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს რეალობაში არსებული გამოწვევებისა და ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 12 პრიორიტეტის გათვალისწინებით.

ადგილობრივი მმართველობის მხარდაჭერა

წინა წლის მსგავსად, 2022 წელსაც IDFI აგრძელებდა ადგილობრივ მმართველობასთან დაკავშირებული აქტივობების მასშტაბის გაზრდას. ორგანიზაცია ჩართული იყო რამდენიმე მუნიციპალიტეტში ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის პრინციპების ხელშეწყობასა და მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის პროცესის მხარდაჭერაში. ასევე, დეცენტრალიზაციის რეფორმის მხარდასაჭერად, გამართა საერთაშორისო ფორუმი.

კარგი მმართველობის ფორუმი 2022 - #GGFORUM2022

2022 წელს, IDFI-მ კარგი მმართველობის საკითხებზე რიგით მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია (***„კარგი მმართველობის ფორუმი"*** (GGForum)) სახელწოდებით - ***დეცენტრალიზაციის მხარდაჭერა: კარგი პრაქტიკები და ინოვაციური მიდგომები*** - გამართა. ღონისძიება 2022 წლის 13 დეკემბერს, ჰიბრიდულ ფორმატში ჩატარდა. კონფერენციის მიზანი იყო საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით განხილულიყო დეცენტრალიზაციის რეფორმის გლობალური ტენდეციები, კარგი პრაქტიკები და საჭიროებები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, ასევე, ის ინოვაციური მეთოდები, რომლებიც აუცილებელია ადგილობრივ დონეზე დემოკრატიული პრინციპებისა და დეცენტრალიზაციის რეფორმების განსახორციელებლად.

კონფერენციაზე მოხსენებით წარდგნენ ამ საკითხებზე მომუშავე წამყვანი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, ასევე, სხვადასხვა ქვეყნის საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლები და ექსპერტები, მათ შორის: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ღია მმართველობის პარტნიორობის ადგილობრივი პროგრამა (OGP Local), სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (PSDA), ლატვიის ადგილობრივ და რეგიონულ მმართველობათა ასოციაცია (LALRG), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და ევროკავშირის მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობის ერთობლივი პროექტი (OECD-SIGMA), ესტონეთის ელექტრონული მმართველობის აკადემია (eGA) გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), Access Info, ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC), ადგილობრივი დემოკრატიის ქსელი, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი და USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ფორუმის დღის წესრიგი.

+100

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ

22

ᲛᲝᲛᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ



12

ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ

4

ᲡᲔᲡᲘᲐ

IDFI-მ ფორუმი ღია მმართველობის პარტნიორობასთან (OGP) თანამშრომლობით, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაციის, Luminate-ისა და USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით გამართა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

2022 წლის დასაწყისში, 4 მუნიციპალიტეტის მერიაში (ახმეტა, ამბროლაური, ლანჩხუთი და ცაგერი) **გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები** მიიღეს. მუნიციპალიტეტებმა ეს დოკუმენტები IDFI-ის ჩართულობით USAID/GGI დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შეიმუშავეს. მათი მიღებით, მუნიციპალიტეტებმა 2019-2020 ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები შეასრულეს. მეტი ინფორმაცია: I. https://bit.ly/3QEP6y5 II. https://bit.ly/3Nb8i3Q.

დამტკიცებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურად განსახორციელებლად, IDFI-მ ოთხივე მუნიციპალიტეტის მერიების, ასევე მათ დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების თანამშრომლებისთვის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების საკითხებზე **ონლაინ ტრენინგები** ჩაატარა. ტრენინგები მიზნად ისახავდა საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებას, აგრეთვე, ანტიკორუფციული მექანიზმების მიმართულებით მათი შესაძლებლობების გაძლიერებას.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜᲒᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲕᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ

მუნიციპალიტეტების საქმიანობის მონიტორინგის ფარგლებში, IDFI-მ გაანალიზა მათი **საბიუჯეტო ხარჯები**, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სოციალური დახმარებების გაცემისა და მუნიციპალური ქონების განკარგვის პრაქტიკებზე. ასევე, შესწავლილ იქნა ცალკეული მუნიციპალიტეტების საჯარო შესყიდვები და საზედამხედველო სამუშაოების შესყიდვის პრაქტიკა. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ძირითადი ინსტიტუციური და პრაქტიკული გამოწვევები, და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები ადგილობრივი ბიუჯეტის განკარგვის გაუმჯობესებისათვის. გაანალიზდა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) როლი ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის

გაუმჯობესებაში, ასევე, ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი პოლიტიკა. მომზადდა კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვა მიუსაფარი ცხოველების კეთილდღეობის შესახებ, რაზე ზრუნვაც მუნიციპალიტეტების ერთ-ერთ პრეროგატივას წარმოადგენს.



სახელმძღვანელოები ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის

2022 წელს IDFI-მ გამოაქვეყნა და ფართოდ გაავრცელა ახალი სახელმძღვანელოები ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისთვის:

მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების პრაქტიკული სახელმძღვანელო - დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია მდგრადი განვითარების მიზნების, მათ მიღწევაში ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობის მნიშვნელობა, SDG-ების ლოკალიზების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, ძირითადი ეტაპები და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველსაყოფად გასათვალისწინებელი გარემოებები.

სახელმძღვანელო ღია ადგილობრივი მმართველობისა და საჯარო სამსახურში ეთიკის წესების შესახებ - IDFI-ის გუნდის ჩართულობით შეიქმნა ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს საჯარო პოლიტიკის 24 საკითხს, ოთხი შედარებით ფართო საკითხის ქვეშ: საჯარო ეთიკა და ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, მოქალაქეთა მონაწილეობა და კორუფციული რისკები.

მდგრადი განვითარების მიზნების (SDG-ების) ლოკალიზება

ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება

2022 წლის მაისში, IDFI-მ ქედის, სენაკის, ონისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების მერიისა და დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებისთვის **მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ლოკალიზების შესახებ ონლაინ ტრენინგები გამართა**. ტრენინგებს ჯამში 40-მდე დაინტერესებული პირი ესწრებოდა, მათ შორის მუნიციპალიტეტის მერიებში დასაქმებული საჯარო მოხელეები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სკოლის პედაგოგები და ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრები.

მონაწილეები გაეცნენ, თუ რა იგეგმება მუნიციპალიტეტების დონეზე SDG-ების ლოკალიზების კუთხით, რა როლის შესრულება შეუძლიათ დაინტერესებულ მხარეებს აღნიშნულ პროცესში, რა სარგებელს მოუტანს მუნიციპალიტეტებს მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის შესრულებაში მონაწილეობა. ასევე, რა ეტაპების გავლა მოუწევთ მუნიციპალიტეტებს SDG-ების ლოკალიზების დროს, როგორ უნდა მოხდეს SDG-ების გლობალური და საქართველოს მიერ ნაციონალიზებული მიზნებისა და ინდიკატორების გათვალისწინება ადგილობრივი პოლიტიკისა და პროგრამული ბიუჯეტის შექმნის დროს, რა საშუალებები არსებობს ამ პროცესებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველსაყოფად და ა.შ.

ტრენინგები წარიმართა მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების პრაქტიკული სახელმძღვანელოს მიხედვით. ტრენინგების მონაწილეები ასევე გაეცნენ IDFI-ის მიერ მომზადებული ანგარიშის - SDG-ების ლოკალიზების_საბაზისო კვლევა: ლოკალიზების პერსპექტივები საქართველოში - მთავარ მიგნებებსა და რეკომენდაციებს.

2022 წლის სექტემბერში, IDFI-ის წარმომადგენლებმა გლობალური მიზნების კვირეულის ფარგლებში, გურიის რეგიონის სამ თვითმმართველ ერთეულში - ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების საკრებულოში - გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისთვის გამართეს ტრენინგი. ტრენერებმა საბჭოს წევრებთან SDG-ების ლოკალიზებისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს ღონისძიებათა სამოქმედო გეგმაში მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის (გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება) ამოცანების ასახვაზე ისაუბრეს. შეხვედრებში ჯამში 50-მდე პირი, მათ შორის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს აპარატის უფროსი და საკრებულოს წევრები იღებდნენ მონაწილეობას.

სასწავლო ტურები SDG-ების ლოკალიზების შესახებ

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით, IDFI-მ საქართველოში მოაწყო ბელარუსი და გერმანელი ექსპერტების **სასწავლო ვიზიტი მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ლოკალიზების შესახებ**. ღონისძიების დროს ქართველმა, გერმანელმა და ბელარუსმა ექსპერტებმა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს SDG-ების შესახებ ადგილობრივი ინიციატივები და დაგეგმეს მომავალში თანამშრომლობის შესაძლებლობები. ვიზიტის ფარგლებში უცხოელი ექსპერტები ასევე ეწვივნენ ვაშლოვანის ნაკრძალს და გაეცნენ იქ განხორციელებულ გარემოსდაცვით პროგრამებს.

2022 წლის სექტემბერში, IDFI-ის წარმომადგენელი მონაწილეობდა GIZ-ის მიერ ჩრდილოეთ მაკედონიაში ორგანიზებულ სასწავლო ვიზიტში, რომელიც ეხებოდა მდგრადი განვითარების მიზნების 2030 დღის წესრიგის საკითხებს. მასში **მონაწილეობას იღებდნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის, დასავლეთ ბალკანეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების, ადგილობრივი და ცენტრალური საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლები.**

2022 წლის ნოემბერში IDFI-ის წარმომადგენელი მონაწილეობდა GIZ-ის მიერ ორგანიზებულ სასწავლო ვიზიტში დორტმუნდში, გერმანიაში, რომელიც მიზნად ისახავდა SDG-ების ლოკალიზების კუთხით **გერმანული კარგი პრაქტიკების გაზიარებას** ქართველი და ბელარუსი ექსპერტებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის.

ინტერნეტი და ინოვაციები

2022 წელს IDFI-მ გააგრძელა კვლევის, ადვოკატირებისა და შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული აქტივობები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ციფრული უფლებები, კიბერ უსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტი, საჯარო სექტორში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება და ა.შ.

საერთაშორისო კონფერენცია ციფრულ ტრანსფორმაციაზე

2022 წლის 28 აპრილს, IDFI-მ საერთაშორისო კონფერენციას - ***საქართველოს ციფრული ტრანსფორმაცია: წინმსწრები ნაბიჯები ევროინტეგრაციის გზაზე*** - ჰიბრიდულ ფორმატში უმასპინძლა. კონფერენციის მიზანი იყო საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა (განსაკუთრებით დასავლეთის, ცენტრალური და სამხრეთ ევროპის ქვეყნებიდან) და საჯარო სერვისების ციფრული ტრანსფორმაციის, ევროკავშირის რეგულაციებთან სტანდარტიზაციის, ციფრული ეკოსისტემის ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორებისა და გამოწვევების შესახებ დებატების გამართვა. ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, ასევე ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე სხვადასხვა სექტორიდან, შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად: საჯარო სერვისების გაციფრულება, საჯარო სექტორის მოდერნიზაცია, ეფექტური ციფრული ტრანსფორმაცია, ციფრული ეკოსისტემა, ევროკავშირთან სტანდარტიზაცია და, ამ მხრივ, ამბიციური რეფორმების განხორციელება.

IDFI-მ კონფერენცია ღია მმართველობის პარტნიორობასთან (OGP) თანამშრომლობითა და გლობალური საქველ-მოქმედო ორგანიზაციის, Luminate-ის მხარდაჭერით გამართა.

საქმიანობა ციფრული გამოწვევებისა და ციფრულად მოწყვლადი მოქალაქეების საჭიროებების გადასაჭრელად

ესტონელ პარტნიორთან, eGovernance Academy (eGA)-თან ერთად, 2022 წელს IDFI აქტიურად მუშაობდა საქართველოში ციფრული გამოწვევებისა და ციფრულად მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების დასადგენად და შემუშავებული რეკომენდაციების სხვადასხვა აუდიტორიის გასაცნობად. მომზადდა ციფრული მოწყვლადობის შესახებ ანალიზი, სახელწოდებით "საქართველოში ციფრულად მოწყვლადი ჯგუფების შესახებ კვლევა და რეკომენდაციები". კვლევის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საჯარო დაწესებულებებსა და დონორ ორგანიზაციებს.

მოგვიანებით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საჯარო უწყებებისთვის, რის შემდეგაც, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან შემდგარმა 14-მა გუნდმა ქვეყანაში სხვადასხვა ციფრულად მოწყვლადი ჯგუფის გასაძლიერებელი საპროექტო იდეები შეიმუშავა.

საპროექტო წინადადებების მთავარ აქცენტს ციფრული მოწყვლადობის აღმოფხვრა და ზემოაღნიშნულ კვლევაში მოცემული რეკომენდაციების შესრულება წარმოადგენდა. წლის ბოლოს გამოვლინდა გამარჯვებული გუნდის პროექტი, რომელიც 2023 წელს განხორციელდება და მშობლებისა და მასწავლებლების ციფრული წიგნიერების გაზრდას ისახავს მიზნად.

ადვოკატირება კიბერსივრცეში მონაცემთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმების უზრუნველსაყოფად

ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონში წინააღმდეგობრივი ცვლილებების დასაძლევად და IDFI-ის ადვოკატირების აქტივობების გასაგრძელებლად, 2022 წელს ორგანიზაციამ მოამზადა განახლებული ანალიზი კიბერსივრცეში პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით საჭირო სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე.

2022 წლის 13 ოქტომბერს სამუშაო შეხვედრის ფარგლებში მთავარი მიგნებები და IDFI-ის რეკომენდაციები წარედ-

გინათ პერსონალური მონაცემებისა და კიბერ უსაფრთხოების ექსპერტებს, იურისტებს, საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორების წარმომადგენლებს. აღსანიშნავია, რომ მხარეები დადებითად შეხვდნენ IDFI-ის რეკომენდაციებს.

ცნობიერების ამაღლება ციფრული წიგნიერებისა და ინოვაციების საკითხებზე

2021 წლის 9 თებერვალს, უსაფრთხო ინტერნეტის დღის აღსანიშნავად, IDFI-მ სოციალური ქსელების მეშვეობით ფართოდ გაავრცელა ციფრული უსაფრთხოებისა და ციფრული ჰიგიენის შესახებ მომზადებული სახელმძღვანელოები და ვიზუალიზაციები. ასევე, IDFI-ის წარმომადგენელი მონაწილეობდა ინტერნეტსაზოგადოების (ISOC Georgia) მიერ ორგანიზებულ ონლაინ კონფერენციაში, რომელიც ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის უსაფრთხო ინტერნეტ გარემოს განვითარებას მიეძღვნა.

2022 წლის 7 აპრილს, IDFI-მ, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან (BTU) თანამშრომლობით, სტუდენტებისთვის ჩაატარა ონლაინ ტრენინგი - ხელოვნური ინტელექტი: შესაძლებლობები და სტანდარტები. შეხვედრა ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიურ და სამართლებრივ ჭრილში საერთაშორისო სტანდარტების გაცნობასა და მისი გამოყენების შესაძლებლობებს შეეხო. IDFI-ის წარმომადგენლებმა სტუდენტებს გააცნეს ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებაში გამჭვირვალობისა და ეთიკური სტანდარტები, ასევე, 2021 წელს ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც ეხებოდა საქართველოს საჯარო სექტორში AI სისტემების გამოყენებას და საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვას.

16 ნოემბერს, IDFI-მ და კვლევითმა ინსტიტუტმა, Gnomon Wise-მა საქართველოს უნივერსიტეტში, სტუდენტებისთვის ციფრული უფლებებისა და წიგნიერების შესახებ ტრენინგი გამართეს. მონაწილეებმა მიიღეს როგორც თეორიული (ციფრული უფლებების არსი, საქართველოს კანონმდებლობის თავისებურებები, ასევე, თუ რა მთავარი ციფრული გამოწვევები იკვეთება საქართველოს შემთხვევაში საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევების მიხედვით), ასევე, პრაქტიკული (საჭირო რჩევები სხვადასხვა ციფრული პლატფორმის, სოციალური ქსელებისა და ელექტრონული მოწყობილობების უსაფრთხოდ გამოსაყენებლად) ინფორმაცია.

19-21 ნოემბერს, IDFI-ის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ საქართველოს ინტერნეტ მმართველობის რიგით მერვე ფორუმში ელ-მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის შესახებ პანელურ განხილვებზე, სადაც ღონისძიების აუდიტორიას გააცნეს ორგანიზაციის მოსაზრებები ელ-მმართველობის რეფორმების დასაჩქარებლად საჭირო ღონისძიებების შესახებ, ასევე, ის ეთიკური სტანდარტები, რაც დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენების დროს.

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

IDFI-მ GovTech მზაობის ინდექსში საქართველოს შედეგები შეაფასა. **მსოფლიო ბანკის GovTech მზაობის ინდექსი**, ციფრული ტრანსფორმაციის ჭრილში, მმართველობის ოთხ კომპონენტს ზომავს: სამთავრობო სისტემების მხარდაჭერა, სერვისების მიწოდება, მოქალაქეთა ჩართულობა და GovTech-ის ხელშეწყობა. გლობალური ტენდენციებისა და საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით, შედეგების გასაუმჯობესებლად, IDFI-მ რამდენიმე რეკომენდაცია შეიმუშავა, მათ შორის, ელექტრონული მმართველობის სტრატეგიის განახლება და მიღება, ელექტრონული მმართველობის სისტემების დაჩქარება საქართველოს რეგიონებში და ღია მონაცემთა შესახებ ერთიანი სტანდარტების დანერგვა.

IDFI-მ ასევე მოამზადა ანალიზი საქართველოს შედეგების შესახებ **ინოვაციების გლობალური ინდექსის** 2022 წლის რეიტინგში, რომელიც 130-მდე ქვეყანას აფასებს ინოვაციური შესაძლებლობების მიხედვით. ქვეყნის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 11 პოზიციით გაუარესდა და წინა წლებთან შედარებით ყველაზე დაბალი ქულა დააგროვა. საქართველოს შედეგები გაუარესდა საბაზრო განვითარების, ადამიანური კაპიტალის, ბიზნესის განვითარების, და შემოქმედებითი პროდუქტების კატეგორიებში.

თანამშრომლობა ახალ პარტნიორებთან

2022 წელს IDFI-მ ინოვაციების მიმართულებით ორი თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა კიბერუსაფრთხოების ეროვნულ ასოციაციასთან და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან. IDFI გეგმავს უფრო აქტიურად ითანამშრომლოს აღნიშნულ მხარეებთან საერთო კვლევების, პროექტების, ღონისძიებების თუ ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელების კუთხით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ხელოვნური ინტელექტის (AI) სისტემების განვითარება და მისი გამოყენების ხელშეწყობა, ციფრული ტრანსფორმაცია, ციფრული მმართველობა, სანდო და კვალიფიციური მომსახურება, ასევე პერსონალური მონაცემების დაცვა.

ინტერნეტის თავისუფლება საქართველოში

მე-9 წელია IDFI-ის ინტერნეტისა და ინოვაციების მიმართულების ხელმძღვანელი Freedom House-ის დამხმარე ავტორია და მონაწილეობს საქართველოზე ინტერნეტის თავისუფლების ყოველწლიური ანგარიშის მომზადებაში.

2022 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, საქართველომ 100-დან 78 ქულა აიღო და ინტერნეტ თავისუფლების მხრივ შეფასდა, როგორც „თავისუფალი“ ქვეყანა. 2021 წელთან შედარებით, ქვეყნის ქულა, საერთო ჯამში, ერთით გაუმჯობესდა. მიზეზი წინა წლებთან შედარებით მასშტაბური კიბერშეტევების ნაკლებობაა. თუმცა, აღინიშნა, რომ სამოქალაქო საზოგადოების, ჟურნალისტების, სასულიერო პირებისა და ოპოზიციური ლიდერების ფარული მიყურადების ჩანაწერების გავრცელებამ აჩვენა ხელისუფლების მხრიდან მიყურადების პრაქტიკის მასშტაბურობა. უარყოფით ტენდენციებად დასახელდა 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნების დროს ჟურნალისტებსა და 2021 წლის ივნისში თბილისი პრაიდის აქტივისტებზე განხორციელებული ფიზიკური თავდასხმები.

ციფრულ თავისუფლებებთან დაკავშირებით გამოწვევები და რეკომენდაციები

შავი ზღვის ფონდი რეგიონული თანამშრომლობისთვის (BST) ფინანსური მხარდაჭერით, IDFI-მ 2022 წლის დასაწყისში გამოაქვეყნა ანგარიში - ინტერნეტის თავისუფლება და ციფრული უფლებები საქართველოში: სისტემური გამოწვევები.

2022 წლის 1 თებერვალს, გაიმართა აღნიშნული ანგარიშის პრეზენტაცია და მოეწყო პანელური დისკუსია დაინტერესებული მხარეების/სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით. IDFI-ს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს დადებითად გამოეხმაურა როგორც საჯარო, ასევე სამოქალაქო სექტორი. ორგანიზაცია კვლავაც აგრძელებს ამ კუთხით შემუშავებული რეკომენდაციების ადვოკატირებას.

IDFI-ის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრის (ECNL) რეგიონულ ინიციატივაში - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო გარემოს შეფასება (CSO Meter). IDFI ჩართული იყო ციფრული უფლებების კუთხით საქართველოს შესახებ თავის მომზადებაში რის ფარგლებშიც გამოიკვეთა ქვეყნის მთავარი მიღწევები, გამოწვევები, და შემუშავდა ცალკეული რეკომენდაციები.

მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევები

მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევის მიმართულება აქტიურად მუშაობდა საბჭოთა წარსულისა და მისი მემკვიდრეობის ძირეულ კვლევაზე, საარქივო ღიაობის გაუმჯობესებასა და თანამედროვე დეზინფორმაციული კამპანიების ანალიზზე. მიმართულება სწავლობს და ავრცელებს ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა ისტორიებს, ახორციელებს მეხსიერების უკვდავყოფისთვის კამპანიებსა და მეხსიერების პოლიტიკის ადვოკატირებას. ორგანიზაცია რეგულარულად აქვეყნებს კვლევით სტატიებს საბჭოთა წარსულის, მისი კოლექტიური მეხსიერებისა და რუსული დეზინფორმაციის შესახებ. 2022 წლის დასაწყისში, IDFI-მ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ბათუმში აღმოჩენილი საბჭოთა ტერორის მსხვერპლთა მასობრივი სამარხის საფუძვლიანი შესწავლა, ნეშტთა ექსჰუმაციის პროცესი და ანთროპოლოგიური კვლევა განახორციელა.

არქივების ღიაობა

2022 წლის 14 აპრილს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების და დამატებების შეტანის თაობაზე.

IDFI-მ წარმატებით დაასრულა სასამართლო საქმე საქართველოს ეროვნული არქივის წინააღმდეგ. სასამართლომ საქართველოს ეროვნული არქივი დაავალდებულა გაეცა საჯარო ინფორმაცია, რომელსაც ორგანიზაცია 2018 წლის 29 ივნისიდან ითხოვდა.

2022 წელს გამოქვეყნდა კვლევა: საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული საარქივო მასალები. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, IDFI-მ შეისწავლა საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების უწყებრივი არქივების მუშაობა და შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით.



პროექტის - “არქივების ღიაობა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში” ფარგლებში, ღია არქივების პლატფორმის წევრები და სხვა ორგანიზაციები შეუერთდნენ მოწოდებას სახელმწიფო არქივების ღიაობის უზრუნველყოფის მიზნით. ამავე პროექტის ფარგლებში, შეფასდა 3 ქვეყნის - ესტონეთის, ჩრდილოეთ მაკედონიისა და ბოსნია და ჰერცეგოვინის სახელმწიფო არქივების ღიაობა.

2022 წლის დეკემბერში IDFI-მ გამართა მე-4 საერთაშორისო კონფერენცია: „არქივების ღიაობის მნიშვნელობა საბჭოთა წარსულის გადაფასებასა და პროპაგანდისთვის წინააღმდეგობის გაწევაში“. კონფერენციის მეორე დღეს, გორსა და კასპში გასვლითი შეხვედრების ფარგლებში, კასპის ოკუპაციის მუზეუმში, 2022 წლის ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი ისტორიულ-საგანმანათლებლო და უფლებადამცველი ორგანიზაციის, "საერთაშორისო მემორიალის", თავმჯდომარემ, იან რაჩინსკიმ საჯარო ლექცია გამართა.

მეხსიერების კვლევები

2022 წლის დასაწყისში გამოიცა პროექტის - „ინტერ-რელიგიური ურთიერთგაგება გრაფიკული ხელოვნების საშუალებით“ ფარგლებში შექმნილი ბროშურა - "ჩემი გრაფიკული ისტორია: საბჭოთა რეპრესიები აჭარაში კომიქსების ენაზე". კომიქსი ადგილობრივი პანსიონატის ბენეფიციარებმა შექმნეს.



IDFI-მ, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, გამოსცა მემორიალური ალბომი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს, საგარეო საქმეთა მინისტრს, საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საფრანგეთში - აკაკი ჩხენკელს (1874-1959).

2022 წლის დასაწყისში, IDFI-ის მოწვევით, პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის (IPN) სპეციალისტებმა სრულად გამოიკვლიეს ბათუმთან ახლოს, ხელვაჩაურში აღმოჩენილი 1937-1938 წლების დიდი ტერორის მსხვერპლთა №6 მასობრივი სამარხი და დაასრულეს ექსჰუმაციის პროცესი. ვროცლავის სამედიცინო უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ნეშტებს ჩაუტარეს სრული ანთროპოლოგიური კვლევა.

IDFI-მ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და რეგიონული ინიციატივების ცენტრ ,,ნათელ მომავალთან“ თანამშრომლობით, რეგიონული ტურნე განახორციელა საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში, რომლის ფარგლებშიც რეპრესირებულთა საკითხზე პრეზენტაცია და „რადიო თავისუფლების“ ფილმის „დახვრეტილთა სასაფლაო ბათუმში“ ჩვენება გამართა.

2022 წელს IDFI-მ არაერთი აქტივობა განახორციელა, მათ შორის ესეების კონკურსი სტუდენტებისთვის („საბჭოეთი თანამედროვე საქართველოს მეხსიერებაში“); დისკუსიები (გაყალბებული ისტორია და ტრიუმფალური 9 მაისი: ისტორია და თანამედროვეობა), ვებინარი - (“გამარჯვება, როგორც ინსტრუმენტი: 9 მაისი, გმირობა და თანამედროვე რუსული პროპაგანდა”), („საბჭოთა პროპაგანდა და საინფორმაციო ომი, როგორც მისი მემკვიდრეობა“); ასევე

IDFI-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბლოგი “9 მაისის აღნიშვნა რუსეთში”.

2022 წელს IDFI სლოვაკეთის დამოუკიდებელი საკონსულტაციო კომპანიისა და ანალიტიკური ცენტრის - Strategic Analysis-ის ადგილობრივი პარტნიორი გახდა. აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში, IDFI ჩართული იყო საერთა-შორისო კონფერენციაში: “ადმინისტრაციულ საზღვართან დაკავშირებული (ABL) საკითხები და მათი გამოწვევები: რა არის გამოსავალი?”.

2022 წელს IDFI-მ შეაფასა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები. კვლევა მიმოიხილავს 1930-იანი წლების “დიდი ტერორის” შესახებ სწავლების დინამიკას, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდიდან გამოცემული და სკოლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების საშუალებით.

IDFI-მ ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის ((IWPR) მიერ დაფინანსებული პროექტის „ანტიდასავლური პროპაგანდის ფესვები“ ფარგლებში, საქართველოს უნივერსიტეტის საგამოძიებო მედია ლაბთან პარტნიორობით განახორციელა კვლევა, რომელიც მოიცავს გაზეთ „კომუნისტის“ ათწლიანი პერიოდის (1970 წლიდან 1980 წლის შუა პერიოდამდე) ნარატივისა და დისკურსის ანალიზს.

HISTORY Project

IDFI-ის ახალი ვებგვერდის - www.historyproject.ge - მეშვეობით გაიზარდა ხელმისაწვდომობა IDFI-ის მიერ 10 წლის განმავლობაში შეგროვებულ საარქივო რესურსებზე, დოკუმენტებზე დაყრდნობით შექმნილ კვლევებზე. ვებგვერდზე ატვირთულია საქართველოსთან დაკავშირებული სტალინური სიები. საარქივო მასალებზე დაყრდნობით, აღნიშნულ ვებგვერდზე გამოქვეყნდა არაერთი კვლევა და სტატია: 26 მაისი დოკუმენტურად - რას გვიყვება არქივები საქართ-ველოს დამოუკიდებლობის დღეზე; აფხაზთა მუჰაჯირობა; 24 ივნისი - საუბრები საქართველოზე ევროპაში; 1924 წლის აჯანყება - რამდენიმე გამოხმაურება; 1937 წლის „დიდი ტერორის" გახმაურებული საქმე და ქართული ინტე-ლიგენციის რეაქცია; სერგეი ეიზენშტეინის „ოქტომბერი" - ეპოქის ისტორია ფილმის ისტორიაში.

1937 წლის 31 მაისი, "სტალინური" სია - საქართველოს სსრ. პირველი კატეგორია - 139, მეორე კატეგორია - 35, სულ - 174. [РГАСПИ, ф.17, оп.171, дело 409, лист 148-157]

1937 წლის 22 ნოემბერი, "სტალინური" სია - საქართველოს სსრ. პირველი კატეგორია - 439, სულ - 439. [РГАСПИ, ф.17, оп.171, дело 413, лист 12-29]

1937 წლის 26 ივნისი, "სტალინური" სია - საქართველოს სსრ. პირველი კატეგორია - 73, სულ - 73. [РГАСПИ, ф.17, оп.171, дело 409, лист 22-26]

1938 წლის 3 იანვარი, "სტალინური" სია - საქართველოს სსრ. პირველი კატეგორია - 316, სულ - 316. [РГАСПИ, ф.17, оп.171, дело 414, лист 155-166]

1937 წლის 10 ივლისი, "სტალინური" სია - საქართველოს სსრ. პირველი კატეგორია - 1, მეორე კატეგორია - 1, სულ - 2. [РГАСПИ, ф.17, оп.171, дело 410, лист 21-26]

1938 წლის 3 იანვარი, "სტალინური" სია - საქართველოს სსრ. პირველი კატეგორია - 300, სულ - 300. [РГАСПИ, ф.17, оп.171, дело 414, лист 167-180]

1937 წლის 10 აგვისტო, "სტალინური" სია - საქართველოს სსრ. პირველი კატეგორია - 425, მეორე კატეგორია - 130, სულ - 555. [РГАСПИ, ф.17, оп.171, дело 410, лист 201-221]

1938 წლის 14 თებერვალი, "სტალინური" სია - საქართველოს სსრ. პირველი კატეგორია - 408, სულ - 408. [РГАСПИ, ф.17, оп.171, дело 414, лист 439-455]

დეზინფორმაციის კვლევები

2022 წლის მარტში IDFI-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ორგანიზებულ, საზოგადოებრივი პრაქტიკის განმხილველ სესიაში - „გამჭვირვალობის მხარდაჭერა უცხო ქვეყნების არალი-ბერალურ ზეგავლენასთან საბრძოლველად: საკანონმდებლო ორგანოების როლი".

2022 წელს IDFI-მ გააგრძელა აქტიური მუშაობა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კვლევისა და ანალიზის მი-მართულებით. აღნიშნულის ფარგლებში, გამოქვეყნდა არაერთი ანალიტიკური სტატია, მათ შორის: რუსული დეზინ-ფორმაციის ტენდენციები საქართველოში უკრაინის ომის პარალელურად; ისტორიის ანექსია - რუსული ჰიბრიდული ომი და უკრაინა; რუსული დეზინფორმაციის ტაქტიკა 2008 წლის ხუთდღიანი ომის კონტექსტში.

ასევე დეზინფორმაციის შესახებ სტატიები, ბლოგები და ვიდეოები გამოქვეყნდა IDFI-ის მიერ შექმნილ ვებგვერდზე www.damoukidebloba.ge.

საგანმანათლებლო და სასერტიფიკატო პროგრამა: "დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კვლევა: ისტორია, თეორიები და გაბათილების საშუალებები"

IDFI-ისა და საქართველოს უნივერსიტეტის (UG) ერთობლივი პროგრამის - "დეზინფორმაცია და პროპაგანდის კვლევები: ისტორია, თეორიები და გაბათილების საშუალებები" ფარგლებში, 18-მა შერჩეულმა მონაწილემ განაგრძო მონაწილეობა 2022 წლის გაზაფხულის სემესტრში მათთვის შეთავაზებულ აკადემიურ კურსებსა და ვორქშოფებში. შემოდგომის სემესტრიდან კი 2022-2023 წლების სასწავლო პროგრამისთვის კიდევ 25 მონაწილე შეირჩა.

2022 წლის 3-4 ივნისს IDFI-მ და საქართველოს უნივერსიტეტმა (UG), ასევე უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილმა საგამოძიებო მედია ლაბმა გამართეს კონფერენცია თემაზე: „მსოფლიოს გამოფხიზლება: ჰიბრიდული ომი, დეზინფორმაცია და ისტორია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში".

2022 წელს IDFI-ისა და საქართველოს უნივერსიტეტის (UG) თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა სემინარი „ჰიბრიდული ომი და ჟურნალისტიკა“, ასევე გაიმართა Boot Camp: „პოლარიზებული საზოგადოება ჰიბრიდული გამოწვევების წინაშე“. 2022 წლის სექტემბერში კი ერთობლივი სასწავლო პროგრამის - „დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კვლევა: ისტორია, თეორიები და გაბათილების საშუალებები“ - გაცნობითი შეხვედრა და პირველი ლექცია ჩატარდა. სასწავლო პროგრამაზე სწავლა კი კიდევ 25-მა მონაწილემ დაიწყო.

ინფორმაციის სანდოობის კოალიცია

2022 წლიდან IDFI მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართველოს ინფორმაციის სანდოობის პროგრამასთან (GIIP) / USAID-თან. როგორც ინფორმაციის სანდოობის კოალიციის თანადამფუძნებელმა წევრმა, IDFI-მ განახორციელა სამი საგრანტო პროექტი.

eine Frage, die entscheidende, die er so stellt, als erhoffe er sich eine verlässliche Antwort: „Sagt mir, wann endet endlich dieser Krieg?"

OB ALTE ALLIANZEN, traditionelle Produkte oder eingefahrene Verkehrsverbindungen: Georgien erlebt einen Umbruch, tradierte Gewissheiten verblassen. Manchmal scheint es, als wolle sich das Land in seiner Vergangenheit wiederfinden, dann wieder lieber viel weiter im Westen. Gleichzeitig existieren Gebiete wie Swanetien im bergigen Norden des Landes: Als wahre Identitätsmaschine steht die schroffe, unzugängliche Region mit ihren Dorfgerichten und mittelalterlichen Wehrtürmen für ein widerspenstiges, urtümliches, sich selbst genügendes Land. Hier entspringt auch der Enguri, ein Fluss, der eine sehr georgische Geschichte erzählt.

Aus Swanetien fließt der Enguri hinab gen Schwarzes Meer und wird auf halbem Wege von einer Talsperre gestaut, die zu den größten der Erde zählt. Das dortige Wasserkraftwerk erzeugt rund 40 Prozent der georgischen Stromproduktion. Da dieses Kraftwerk selbst in Abchasien liegt, stellt es zugleich die einzige nennenswerte Kooperation zwischen dem Mutterland und der abtrünnigen Region dar. Ironie der Geschichte: Ausgerechnet ein sowjetischer Monumentalbau ermöglicht diese Ausnahme.

Weiter südlich wird der Enguri zum Grenzfluss zwischen Georgien und Abchasien: Über ihn führt nur eine einzige Brücke, die für motorisierten Verkehr gesperrt ist und mit ihren Panzersperren aus Beton eher an Krieg als an Kooperation denken lässt. Nach mehr als 200 Kilometern mündet der Enguri bei Anaklia ins Schwarze Meer – der Ort ist Synonym für verblasste Träume. Eine Metropole sollte hier entstehen, mit Hotelburgen und dem ersten Tiefseehafen des Landes, doch der undurchsichtige Kampf verschiedener Investoren führte zum Niedergang. Heute ist Anaklia eine Geisterstadt, mit Hotels, die neu schon wie Ruinen wirken, abends ziehen Rudel wilder Hunde über palmengesäumte, verwaiste Alleen.

FÜNF AUTOSTUNDEN von Anaklia und der abchasischen Grenze entfernt, in Georgiens Hauptstadt Tiflis, läuft Giorgi Arsiani in weißen Turnschuhen über sowjetisches Fischgrätenparkett. Arsiani schaut auf seine Uhr und sagt: „Er kommt zu spät." In der Ecke seines Büros steht ein Skateboard. Giorgi Arsiani trägt Jeansjacke über dem Polohemd, sein Gesicht verrät mürrische Ungeduld: „Ich weiß nicht, ob er überhaupt noch kommt."

Arsiani, 28 Jahre alt, sagt über seine Herkunft: „Ich stamme aus Sochumi" – dabei hat der studierte Jurist die Stadt nie betreten. Seine georgische Familie wurde nach dem abchasischen Sezessionskrieg von dort vertrieben. Von seinem Büro in einem alten Gewerkschaftshaus aus betreibt Arsiani seine „Library about Georgia", eine Nichtregierungsorganisation, die Sachbücher über Georgien sammelt und Ideen für die Wiedereingliederung von Abchasien und Südossetien entwickelt.

Für Abchasiens Hauptstadt Sochumi hat er ein Modell für das wuchtige Regierungsgebäude bauen lassen, das dort seit fast 30 Jahren als ausgebrunntes Fanal das Zentrum dominiert. Er zeigt ein Foto der Luftschlösser: weiße Fassade, Zinnen, bogenförmige Zugänge. Zugern würde er das Modell selbst präsentieren. Nur lässt sein Mitstreiter, der es herbringen sollte, auf sich warten.

Giorgi Arsiani rollt Karten ganzer Quartiere auf einem Kosopaltisch aus, sie zeigen seine ihm unbekannte Heimatstadt, die er so gern umgestalten würde. „Niemand profitiert dort doch von leeren Cafés oder nicht getätigten Investitionen!"

OB AUCH GEORGIEN Fehler im Umgang mit den Abchasen gemacht habe, die seit Jahrhunderten unter wechselnden Herrschern um mehr Eigenständigkeit kämpfen, ist für Arsiani keine diskutable Frage. „In allen politischen Gremien waren die Abchasen vertreten, sogar überrepräsentiert!" Ihre Unabhängigkeit sei ohne russische Einmischung nie möglich oder auch nur gewollt gewesen. „Russland hat viel in den abchasischen Separatismus investiert." So setzte Moskau die aus Sowjetzeiten bekannte Politik der Kontrolle seiner Peripherie „durch gezieltes Management von Nationalitätenfragen"

SCHAUPLÄTZE DIESER GEO-GESCHICHTE

Das GEO-Team bereiste auch die Gegend an den Grenzen zu Abchasien und Südossetien. Russland erkennt die abtrünnigen Regionen diplomatisch an, eine Parallele zu den Separatistengebieten in der Ukraine

GEO 08 2022

Nino Gosalischwili forscht zur georgischen Geschichte. Seit Russlands Despot Wladimir Putin die Historie bemüht, um einstige Sowjetrepubliken anzugreifen, wird die korrekte Ausdeutung der Vergangenheit für die Nachbarn überlebenswichtig

GEO 08 2022

IDFI-მ პროექტის "სტალინის გარშემო არსებული დეზინფორმაციისა და ნოსტალ-გიის დაძლევა: ახალი იდენტობა ქალაქ გორისთვის" ფარგლებში, შეისწავლა 1000-ზე მეტი საარქივო დოკუმენტი, შექმნა 13 ორიგინალური ისტორია ქალა-ქის შესახებ და 30-ზე მეტი ისტორია გამორჩეულ ადამიანებზე, რომელებიც განთავსდა პროექტის ფარგლებში შექმნილ ვებგვერდზე www.gorimaps.ge. აღნიშნული პროექტის შესახებ სტატია გამოქვეყნდა გერმანულენოვან ჟურნალ GEO-ში. 2022 წლის ივლისში, IDFI-ისა და ZINC Network-ის მიერ, 2008 წლის ომთან დაკავშირებით, შიდა ქართლში, ცნობიერე-ბის ამაღლების მიზნით, გამოცხადდა კონკურსი „ომის მეხსიერება ქალაქში". კონკურსის გამარჯვებულის მიერ შექმ-ნილი ნამუშევარი განთავსდა ქალაქ გორში.

2022 წელს IDFI-მ განახორციელა პროექტი - „სოლიდარობის ბრენდინგი - შიდა ქართლის რეგიონში, ოკუპირებული ტერიტორიების ახლოს მცხოვრები მეწარმეების ხელშეწყობა“. IDFI-ის, USAID-ისა და Zinc Network-ის ერთიანი ძალისხმევით, შიდა ქართლში საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებმა ფერმერებმა საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები კამპანია “გმირობის ნაყოფის” ბრენდის ქვეშ „კარფურის”, “სმარტისა” და „ზღაპარის“ მაღაზიათა ქსელებში განათავსეს.

რუსული კაპიტალი და რუსული კავშირები ქართულ ბიზნესში

2022

2022 წელს დასრულდა პროექტის - „რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში“ - პირველი და მეორე ეტაპი. პროექტის ძირითადი მიზანი იყო სხვადასხვა სექტორში რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაში არსებული საქართველოში მოქმედი კომპანიების მუშაობის, რესურსებისა და კავშირების შესწავლა.



კონსულტაციები

- გაიცა დაახლოებით 95 სამართლებრივი კონსულტაცია ინფორმაციის თავისუფლების, კანონის უზენაესობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე, 25 საჯარო მოხელეს ჩაუტარდა კონსულტაცია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესახებ.



- IDFI-მ განახორციელა 307 კონსულტაცია მეხსიერების, დეზინფორმაციისა და საბჭოთა კვლევებთან დაკავშირებით. კონსულტაციები ჩატარდა პირადად (51 კონსულტაცია), ონლაინ (ფეისბუქ მესენჯერი, ელ. ფოსტა, Zoom და ა.შ. – სულ 138) და სატელეფონო ზარის საშუალებით. (118 კონსულტაცია).

IDFI-ის დონორი ორგანიზაციები

- ევროკავშირი
- შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA)
- ღია საზოგადოების ფონდი (OSF)
- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)
- ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)
- INTERNATIONAL COALITION OF SITES OF CONSCIENCE
- აზიის განვითარების ბანკი
- შავი ზღვის ფონდი რეგიონული თანამშრომლობისთვის (BST)
- COUNTERPART INTERNATIONAL
- LUMINATE
- ინტერნიუსი
- არაკომერციული სამართლის საერთაშორისო ცენტრი (ICNL)
- ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი
- ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში
- ლათინური ამერიკის ღია მონაცემების ინიციატივა (ILDA)
- გაეროს მოსახლეობის ფონდი
- საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)
- ევროპის საბჭო
- აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი
- კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLOG)
- DELOITTE CONSULTING

2022 წელს დაწყებული პროექტები

ქართულ ბიზნესში რუსული კაპიტალის ანალიზი - მესამე ეტაპი

დონორი ორგანიზაცია: Georgian Information Integrity Program(GIIP) / USAID

პროექტის მესამე ეტაპზე IDFI-მ შეისწავლა და გამოაქვეყნა ახალი ანგარიში, რომელშიც დეტალურად იქნება შესწავლილი რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაში არსებული საქართველოში მოქმედი კომპანიების მუშაობა, რესურსები და კავშირები შემდეგ სექტორებში: წყლის რესურსები, ტურიზმი, მშენებლობა და დიდი ინვესტიციები სხვა სექტორებიდან, რომლებიც არ იყო ჩამოთვლილი პროექტის წინა ეტაპებზე.

სტალინის გარშემო არსებული დეზინფორმაციისა და ნოსტალგიის დაძლევა: ახალი იდენტობა ქალაქ გორისთვის - მესამე ეტაპი

დონორი ორგანიზაცია: Georgian Information Integrity Program(GIIP) / USAID

პროექტის მიზანია ალტერნატიული ვიზუალური პლატფორმის შექმნა. პროექტი გამოააშკარავებს ჯერჯერობით უცნობ პიროვნებებს, ლოკაციებს, გამარჯვებისა და ტრავმის მეხსიერების ადგილებს და მნიშვნელოვან მომენტებს ქალაქის ისტორიიდან.

ორგანიზაციული განვითარების გრანტი

დონორი ორგანიზაცია: Luminate

პროექტის ფარგლებში IDFI-იმ გააგრძელა საჯარო დანახარჯებისა და კარგი მმართველობის მიმართულებით საზედამხედველო საქმიანობა, ასევე, ანალიტიკური აქტივობების განხორციელება.

გენდერული თანასწორობა გურიის მდგრადი განვითარებისთვის

დონორი ორგანიზაცია: Dekabristen e.V.

პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე შექმნილი მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს (ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით შექმნილი სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო) წევრთა შესაძლებლობების განვითარება და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) კონტექსტში მათთან თანამშრომლობის დამყარება.

საპარლამენტო დემოკრატიის კონსოლიდაცია საქართველოში

დონორი ორგანიზაცია: ევროკავშირი (EU); გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

პროექტის მიზანია ხელს შეუწყობს აჭარის უმაღლეს საბჭოს, 2022-2024 წლების ღია მმართველობის სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების განხორციელებაში.

ანტიდასავლური პროპაგანდის ფესვები

დონორი ორგანიზაცა: ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი

პროექტის მიზანია ანტიდასავლური პროპაგანდის ისტორიული განვითარების უკეთ გაგება, რომელსაც აძლიერებს რუსეთში განთავსებული რეჟიმი.

სოლიდარობის ბრენდინგი - შიდა ქართლის რეგიონში, ოკუპირებული ტერიტორიების ახლოს მცხოვრები მეწარმეების ხელშეწყობა

დონორი ორგანიზაცია: Georgian Information Integrity Program (GIIP) / USAID

პროექტის მიზანია, ქართული საზოგადოების მზარდი მხარდაჭერის შედეგად, ადმინისტრაციული საზღვრის მახლობლად მცხოვრები მოსახლეობა მეტად მდგრადი გახადოს რუსული მტრული გავლენის მიმართ.

რელოკაცია/ინდივიდუალური მხარდაჭერის გრანტი

დონორი ორგანიზაცია: Institut für Auslandsbeziehungen (ifa)

IDFI ადამინის უფლებათა დამცველ(ებ)ს გაუწევს ინდივიდუალურ და ინსტიტუციურ მხარდაჭერას საქართველოში მოღვაწეობასა და ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციაში.

2030 დღის წესრიგის ინსტიტუციური ინტეგრაცია ბელარუსსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებში

დონორი ორგანიზაცია: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) GmbH

პროექტი ითვალისწინებდა საქართველოში ბელარუსი და გერმანელი ექსპერტების სასწავლო ვიზიტის ორგანიზებას მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ლოკალიზების შესახებ.

ღია მონაცემების სტანდარტების ამაღლება და გამოყენების წახალისება საქართველოში

დონორი ორგანიზაცია: საერთაშორისო მედიის მხარდაჭერა (IMS)

პროექტი მიზნად ისახავს ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლების რეგულირების გაუმჯობესების ადვოკატირებას, მრავალმხრივი დიალოგისა და ქართველი საჯარო მოხელეებისთვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით.

ხელოვნური ინტელექტის გლობალური ადვოკატირება - საქართველო

დონორი ორგანიზაცია: Global Partners Digital

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ხელოვნური ინტელექტის მიმართ ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მიდგომის დაწინაურებას საერთაშორისო დისკუსიებში.

ციფრული უფლებები საქართველოში

დონორი ორგანიზაცია: ინტერნიუსი (Internews) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში ინტერნეტ თავისუფლების ამაღლებას.

მონაცემების გლობალური ბარომეტრი (გავრცელების ეტაპი)

დონორი ორგანიზაცია: ლათინური ამერიკის ღია მონაცემების ინიციატივა (ILDA)

პროექტის მიზანია მონაცემების გლობალური ბარომეტრის (GDB) პირველი გამოცემის შედეგების აქტიური გავრცელება.

მედიის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

დონორი ორგანიზაცია: ღია საზოგადოების ფონდი

პროექტის მიზანია მედიის საჯარო ინფორმაციაზე წვდომის ხარისხის გაუმჯობესება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეწყობა.

ციფრული უფლებები საქართველოში - 2023

დონორი ორგანიზაცია: ინტერნიუსი (Internews) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში ინტერნეტ თავისუფლების გაზრდას/ხელშეწყობას.

მონაცემების გლობალურ ბარომეტრში მოსახლეობის მონაცემების ანალიზი აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების შესახებ

დონორი ორგანიზაცია: გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისი

პროექტის ფარგლებში, IDFI გაანალიზებს GDB-ის შედეგებს ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის ჯანდაცვისა და Covid-19 მოდულის მიხედვით, რომელიც მოიცავს ქვეყნის შეფასებებს მოსახლეობის/დემოგრაფიული მნიშვნელოვანი მონაცემების შესახებ.

2022 წლის ფინანსური ანგარიში

საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

2,957,471 ₾
შემოსავალი გრანტებიდან

562,321 ₾
სხვა საოპერაციო შემოსავალი

3,519,792 ₾
სულ შემოსავალი

ხელფასები საშემოსავლო და საპენსიო გადასახადების გამოკლებით	507,316 ₾
საშემოსავლო გადასახადი ხელფასებზე	126,829 ₾
საპენსიო გადასახადი (2%) გადახდილი ხელფასებზე	12,942 ₾
მომსახურების ანაზღაურება	1,000,391 ₾
კონსულტაცია და სხვა პროფესიული ხარჯები (თარჯიმნის, საკონსულტაციო მომსახურების, ექსპერტების ჰონორარი)	352,409 ₾
რეკლამა და პიარი (დიზაინი, ვიდეო, ბეჭდვა, გამოცემა, ჯილდოები, მარკეტინგი)	297,880 ₾
ღონისძიებები (კონფერენციები, პრეზენტაციები, სემინარები, ტრენინგები)	292,598 ₾
ცვეთა და ამორტიზაცია	109,897 ₾
მოგზაურობა (საერთაშორისო მივლინება, დღიური ნორმა)	55,344 ₾
თანამშრომლების დაზღვევა	49,767 ₾
საპენსიო გადასახადი	40,044 ₾
ფინანსური, საბუღალტრო და აუდიტორული მომსახურება	37,206 ₾

ვებ-გვერდის განვითარების ხარჯები	33,160 ₾
სტიპენდია	25,657 ₾
სხვა საოფისე ხარჯები და ინვენტარი	17,356 ₾
კომუნიკაციის ხარჯი	16,697 ₾
კომუნალური ხარჯი	14,488 ₾
ტრანსპორტირება (ადგილობრივი მივლინება, საწვავი, სასტუმრო)	10,650 ₾
საბანკო ხარჯები	4,479 ₾
საპროცენტო ხარჯი	4,039 ₾
საფოსტო ხარჯები	3,616 ₾
საკანცელარიო ხარჯები	3,347 ₾
სატრანსპორტო საშუალების ტექმომსახურება და დაზღვევა	3,203 ₾
სხვა ხარჯები	14,474 ₾
სულ საოპერაციო ხარჯები	**3,033,789 ₾**

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ჯ. შევჩენკოს ქ. 20, 0108
თბილისი, საქართველო

INFO@IDFI.GE

+ 995 32 292 15 14

WWW.IDFI.GE